პროლეტარიელებო, ერთიანდეთ!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

პარასკევი, 30 მაისი, 1952 წ. № 127 (9287). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მშრომელებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის კანონია — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

კონკურსები გამოჩენილ რუს მეცნიერთა სახელობის პრემიების მოსაპოვებლად (1-ლი გვერდი).

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).

ვ. მერკვილაძე — ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში (მე-2 გვერდი).

გავაუმჯობესოთ საბჭოთა ვაჭრობა, გავაძლიეროთ სოციალისტური საკუთრების დაცვა (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა — ცხოვრებას მოწყვეტილი გაზეთი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოსახვრება — საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი ვერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშრომელებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება საბჭოთა დაწესებულებების მუშაობის კანონია

სოციალისტური დემოკრატიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის ხალხურობა. საბჭოთა საწარმო-დაწესებულებების ძირითადი მიზანია მუდმივი ზრუნვა ხალხთან კავშირის ყოველმხრივ განმტკიცებისა და გაფართოებისათვის. მათი ვალია ყური დაუგდონ მასების ხმასა და მოთხოვნებს, გულისხმიერებით და ყურადღებით მოეპყრონ საბჭოთა ადამიანებს.

მასებთან სახელმწიფო აპარატის კავშირის გაფართოება-განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს საწარმო-დაწესებულებებში მშრომელთა მიღების სქმის ორგანიზაციას. მშრომელი მასები საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მიმართავენ მრავალი საყურადღებო წინადადებითა და შენიშვნით, რომელთა მიზანია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესება, მიმართავენ თავიანთი პირადი საჭიროებისათვის, დახმარებისა და რჩევა-დარიგებისათვის. მთხოვნელები ამხილებენ ბიუროკრატიზმის, უთავბოლობის, უსულგულობის ჯერ კიდევ არსებულ ფაქტებს, აყენებენ მათი გამოსწორებისათვის საქმიან წინადადებებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ანიჭებენ დაწესებულებებში მშრომელთა მიღების ორგანიზაციას. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა, რომ საბჭოთა დაწესებულებაში მისული ყველა მსურველი ყოფილიყო მიღებული, მოესმინათ მისთვის, სათანადო მსვლელობა მიეცათ მისი საქმისათვის, კონტროლი გაეწიათ მშრომელის საჩივრით აღძრული საკითხის მოგვარებისათვის.

საბჭოთა საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოვალეობაა გულისხმიერად მოაწყონ მშრომელთა მიღება, სწრაფად გადაწყვიტონ მთხოვნელთა მიერ აღძრული მრავალი საკითხი, გამომაქიავნონ და აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, გააუმჯობესონ საბჭოთა აპარატის მუშაობა.

პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ხალხის ნდობას და სიყვარულს უნდა იმსახურებდეს. ხელმძღვანელი, რომელიც ემიჯნება მასებს, იკეტება კაბინეტში, კარგავს ხალხის ნდობას და იქცევა ბიუროკრატად.

თბილისის XXI საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე ბოლშევიკურად იქნა მხილებული სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებანი. ზოგიერთი ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკი მოწყვეტილი იყო მასებს, იკეტებოდა კაბინეტებში და გაურბოდა მასებთან ცოცხალ ურთიერთობას. მუშაობის ასეთი მანკიერი სტილის შედეგად დაშვებული იქნა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები და ჩავარდნები.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც საწარმო-დაწესებულებებში მთხოვნელთა მიღებას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, როდესაც ხელმძღვანელი პარტიული ან სამეურნეო მუშაკი ემიჯნება მასებს, ყურს არ უგდებს მათს წინადადებებს და გულისხმიერად არ ეკიდება კრიტიკულ შენიშვნებს.

მშრომელთა მიღებას ბიუროკრატიულად ეკიდებიან მოლოტოვის რაიონის საბინაო სამმართველოში. საბინაო სამმართველოს უფროსი შუღაროვი იქ მისულებს ყურადღებით არ უსმენს, ღრმად არ სწვდება საქმის არსებით მხარეს, არ ცდილობს თვითეულმა მთხოვნელმა სასწრაფოდ მიიღოს სწორი პასუხი. საქმეთა მმართველი ბოჟორიძე უხეშად, ყვირილით მიმართავს მთხოვნელებს, შუღაროვი კი ამას თითქოს ვერ ამჩნევს. მოქ. ა. ქურდღანიძემ ბინის რემონტის შესახებ განცხადება შეიტანა საბინაო სამმართველოში. იგი ორჯერ მიიყვანეს მხოლოდ იმისათვის, რომ განცხადებას ძველი თარიღი ჰქონდა დასმული. შეტანილ განცხადებაზე ამომწურავი პასუხი არ მისცეს და უხეში სიტყვებით მიმართეს მოქ. ე. მიშინას. საბინაო სამმართველოში მშრომელთა განცხადებებით აღძრული საკითხების მოგვარებას აჭიანურებენ. მაგალითად, გასული წლის სექტემბერში მოქ. სურგულაძემ ბინის რემონტის შესახებ განცხადება შეიტანა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სურგულაძის განცხადება მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა, ხოლო რაისაბჭოს აღმასკომმა — საბინაო სამმართველოს. ამის შემდეგ საქმე ადგილიდან აღარ დაძრულა. სურგულაძემ მიმდინარე წლის იანვარში ხელახლა მიმართა განცხადებით საქალაქო საბჭოს აღმასკომს. კვლავ დაიწყო მიწერ-მოწერა. ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ეპიტაშვილის რეზოლუციით განცხადება ისევ რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა, რაისაბჭოს აღმასკომმა კი საქმე კვლავ საბინაო სამმართველოს გადასცა. 9 თვის მანძილზე ქალაქის განუწყვეტელი მიწერ-მოწერა იმით დასრულდა, რომ მოქ. სურგულაძეს სამზარეულოს იატაკი შეუკეთეს, ხოლო სახურავი და სამზარეულოს კედლები კვლავ გაურემონტებელია. „თუნუქი იშოვნე და სახურავს შემდეგ შეგიკეთებთო", — უსულგულოდ ეუბნებიან სურგულაძეს საბინაო სამმართველოს მუშაკები. მშრომელთა განცხადებებისადმი ასეთი ბიუროკრატიულ-კანცელარული დამოკიდებულება მოლოტოვის რაიონის საბინაო სამმართველოს მუშაობის დამახასიათებელია.

მეორე ფაქტი. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მცველმა-კონტროლიორმა, შრომის ინვალიდმა რ. ასაშვილმა ბინის მიცემის შესახებ კომბინატის დირექტორს ამხ. გოგოლაძეს განცხადებით მიმართა. დირექტორმა ასაშვილი მოადგილე ხინველთან გაგზავნა. ხინველმა გულისხმიერი დამოკიდებულებისა და ყურადღებით მოსმენის ნაცვლად რ. ასაშვილი უხეშში სიტყვებით გაისტუმრა და არავითარი დახმარება არ გაუწია.

მშრომელებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება საბჭოთა საწარმო-დაწესებულებების მუშაკებისათვის კანონია. ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაკები პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ ყველას, ვინც მათ მიმართავს. მათი ვალია გულწრფელად შეეცადონ დახმარება აღმოუჩინონ მთხოვნელებს, მხარი დაუჭირონ მთხოვნელთა საქმიან წინადადებებს, აღკვეთონ ნაკლოვანებანი, რომლებსაც ისინი ამხილებენ. ცალკეული საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელები სწორად არ იქცევიან, როდესაც განცხადებებისა და საჩივრების განხილვას გადააბარებენ ხოლმე დაქვემდებარებულ მუშაკებს, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება მშრომელთა მიერ აღძრულ საკითხებზე, უფლება არა აქვთ გასცენ განკარგულებები და მითითებები. ამის შედეგია ის, რომ ზოგჯერ ისეთი საქმე, რომლის გადაწყვეტა ადვილად შეეძლო ხელმძღვანელს, თვეობით და ზოგჯერ წლობით ჭიანურდება.

მასებისაგან მოწყვეტას, ოპერატიული ხელმძღვანელობის ნაცვლად დაუსრულებელ მიწერ-მოწერას, კაბინეტებში ჩაკეტვას, მუშაობის ფორმალურ-ბიუროკრატიულ სტილს მოსდევს ის, რომ ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა მუშაკი ყურს არ უგდებს მშრომელი მასების, „პატარა ადამიანების" ხმას და საკუთარ ნაუუშში იკეტება. მუშობის ეს მანკიერი სტილი ყოვლად შეუწყნარებელია საბჭოთა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელების მუშაობაში.

მუდამ იქონიონ მჭიდრო კავშირი მასებთან, ბოლშევიკურად ზრუნავდნენ მშრომელთა საჭიროებებისათვის, გულისხმიერად მოეპყრონ ქვემოდან წამოსულ თვითეულ სიგნალსა და წინადადებებს, — ასეთია თვითეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა.

ციმლიანსკის ჰიდროკვანძის წყალსაშვები კაშხალის მხაჯვრული გაფორმება

მუშათა დაბა ციმლიანსკი. 28 მაისი. (საკდესი). სულ უფრო დასრულებული სახე ეძლევა ციმლიანსკის ჰიდროკვანძის რკინაბეტონის წყალსაშვებ კაშხალს. მის ზემო ნაგებობაში, სადაც რკინიგზის მაგისტრალი გადის, არქიტექტურულ-მოსაპირკეთებელ სამუშაოთა მემონტაჟეები აკეთებენ ფიგურულ ლითონის მოაჯირს. დონისაკენ მიქცეულ მხარეზე ასეთი მოაჯირი უკვე გაკეთებულია რკინიგზის გადასასვლელის მთელ სიგრძეზე.

დაიწყო კაშხალის ზემო საყრდენების გაფორმება. ყოველ მესამე ბურჯზე ავტომაგისტრალის ვაკისიდან ათზე მეტი მეტრის სიმაღლეზე მემონტაჟეები დგამენ ლითონის ემბლემებს. ზოგ მათგანზე გამოსახულია ხუთქიმიანი ვარსკვლავით დაგვირგვინებული და დროშებით გარშემორტყმული ხორბლის ძნა, სხვებზე ცენტრში—საზღვაო ღუზა, ხოლო მის თავზე—დიდი ვარსკვლავი. ყოველი ასეთი ემბლემა ექვს ტონაზე მეტს იწონის.

ამავე დროს მემონტაჟეები რთავენ ბეტონის ავტოგზას, რომელიც მდებარეობს კაშხალის ქვემო საყრდენებზე. ავტოსტრადის ორივე მხარეზე, რომელიც წყალსაშვებთა გაყოლებით გადის, ამონტაჟებენ ლითონის მასივურ ორნამენტიან მოაჯირს.

ჩვენს რესპუბლიკაში

★

ხუთი თვის გეგმა 25 მაისისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა 25 მაისისათვის შეასრულა მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთი თვის გეგმა. მაღალნაყოფიერად მუშაობენ ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. მათ 25 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხუთი თვის გეგმები და მარგანეცს გეგმის გადამეტებით იღებენ.

მეჯი ცემენტი მშენებლობებს

კასპი. (საკ. კორ.). დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ენერგიულად შრომობს კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივი. ქარხანაში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ქარხნის კოლექტივმა ვადაზე 6 დღით ადრე შეასრულა ხუთი თვის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა ათასობით ტონა ცემენტი.

მაღალნაყოფიერად მუშაობს და გეგმას ყოველთვის გადამეტებით ასრულებს ცემენტის საფქვავი საამქრო.

კასპელი მეცემენტეები დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს და მშენებლობებს აწვდიან მაღალხარისხოვან ცემენტს.

ახალი მაცივარკომბინატის მშენებლობის დაწყება

თბილისში, დიდუბეში საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან არსებული სამშენებლო ტრესტი შეუდგა დიდი, ახალი მაცივარკომბინატის მშენებლობას. უკვე დაწყებულია კომბინატის სხვადასხვა ნაგებობის საძირკვლის ამოყვანა, სასარდაფო სართულების დაბეტონება.

კომბინატის მთავარი კორპუსი ხუთსართულიანი იქნება. მის გვერდით აგებული შენობები გათვალისწინებულია სხვადასხვა მალფუჭებადი პროდუქტების შესანახავად.

კომბინატის მშენებლობა მომავალ წელს უნდა დამთავრდეს.

პაპიროსი გეგმის გადამეჯებით

ბათუმი. (საკ. კორ.). თავდადებულად შრომობს ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც აპრილის გეგმა 144 პროცენტით შეასრულა, ხოლო მაისის პირველ ნახევარში 20 დღის დავალება გაანაღდა.

განსაკუთრებით დაწინაურდა მზა პროდუქციის საამქრო, სადაც გამომუშავების დღიური ნორმები სისტემატურად 20-30 პროცენტის გადაჭარბებით სრულდება. სტახანოვური შრომით გამოირჩევა ა. აბაშიძე, რომელიც დღიურ ნორმებს ორმაგად ანაღდებს.

შვიდ თვეში წლიური გეგმის შესრულებისათვის იბრძვის თამბაქოს მწეწავი მ. კაპაევსკი. მან ოთხნახევარ თვეში შვიდი თვის დავალება გაანაღდა. ფაბრიკის ათობით სტახანოველმა 25 მაისისათვის შეასრულა მზა პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმები.

გორის ბამბეულის კომბინატი. სურათზე: სართავი საამქროს მრთველი რ. არბოლიშვილი, რომელიც გამომუშავების დღიურ ნორმებს 150 პროცენტით ასრულებს და ხისტემატურად პირველხარისხოვან ნართს უშვებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

დურიფშელთა ვალდებულებანი

გასული სასოფლო-სამეურნეო წელი გუდაუთის რაიონის დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ მნიშვნელოვანი წარმატებით დაამთავრა. კოლმეურნეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 900 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 675 ტონისა. მაგრამ მიღწეული წარმატებით როდი კმაყოფილდებიან. მიმდინარე წლის დასაწყისშივე გაჩაღდა ბრძოლა ჩაისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად. აგროწესებით დადგენილ ვადაში შესრულდა ჩაის პლანტაციის ყველა სამუშაო. ამ მხრივ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია მეხუთე ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი, ლენინის ორდენოსანი ზოსიმე არძინბა ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადას ჩაის პლანტაციის დროულად და სანიმუშოდ დამუშავებისათვის გადაცემული აქვს კოლმეურნეობის გარდამავალი წითელი დროშა.

წელს ჩვენმა კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გალის რაიონის ოქტომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, იკისრა 372 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 3.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 7.000 კილოგრამი.

კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ, რომელსაც ვლ. თარბა ხელმძღვანელობს, შარშან მიიღო 1 მილიონ 400 ათასი მანეთი შემოსავალი, წელს კი ვალდებულება აიღო ბრიგადის ფულადი შემოსავალი საგრძნობი თანხით გაადიდოს. ამ მიზნით იკისრა 34 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 5.000 კილოგრამი ჩაი, ხოლო 8 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე — 7.000 კილოგრამი. ამავე ბრიგადის პირველი რგოლის მერგოლურმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მარიამ არძინბამ 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 12.000 კილოგრამი ჩაის მოკრეფა იკისრა, 0,5 ჰექტარზე კი პირადად — 11.000 კილოგრამისა. ასეთივე ვალდებულება იკისრეს ჩაის კრეფის ოსტატებმა მ. არსალიამ, ო. ტანიამ, ლ. კვარაცხელიამ, ფ. თარკილმა, ჭ. კვარაცხელიამ და სხვ.

გარდა ამისა, კოლმეურნეებმა პირობა დადეს 270 ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 30 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 60 ჰექტარზე — 65 ცენტნერი. ცალკეულმა ბრიგადებმა ბევრად უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს, კერძოდ სოციალისტური შრომის გმირმა თ. თარბამ პირობა დადო პირადად ჰექტარზე 1.300 ფუთი სიმინდი მოიყვანოს.

კოლმეურნეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების მიხედვით წელს კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი დიდად გაიზრდება.

დურიფშელი კოლმეურნეები შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

გრიგოლ არძინბა

გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

აგრონომი ვახტანგ სერგია

ემზადებიან მოსავლის აღებისათვის

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). მნახველის ყურადღებას იპყრობს 740 ჰექტარზე კარგად განვითარებული „ლაგოდეხური გრძელთავთავას" ჯიშის პურის ყანა. განსაკუთრებით კარგი ჯეჯილია ა. ცქიფურიშვილის, სოკრატ კობერიძის, სიმონ გეწაძის და ვიქტორ ყაველაშვილის ბრიგადათა ნაკვეთებზე.

კოლმეურნეების კ. თაბაგარის, იოსებ გაფრინდაშვილის, სერგო ტყემალაძისა და სევასტი მაჩაიძის ინიციატივით და ბეჯითი შრომით ყანებში მისასვლელი გზების რემონტი დაიწყეს, ემზადებიან მოსავლის აღებისათვის. წინასწარი ვარაუდით აქ წელს მაღალ მოსავალს მოელიან.

მოწინავე საამქროები, ცვლები და ბრიგადები

★

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის კომიტეტმა შეაჯამა ცალკეულ საამქროებს, ცვლებსა და უბნებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების აპრილის შედეგები. აპრილის მაჩვენებლების მიხედვით ქარხნის ძირითად საამქროებს შორის გამარჯვებული გამოვიდნენ ბლუმინგის, ენერგეტიკულ საამქროთა შორის — ელექტრო-სარემონტო, ხოლო დამხმარე საამქროებს შორის — სამჭედლო-საქვაბე საამქროები, რომლებსაც მიეკუთვნათ ქარხნის საუკეთესო საამქროს წოდება და გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშები.

ქარხნის საუკეთესო ცვლის წოდება მიენიჭა ბლუმინგის, ქვესადგურების ჭსელისა და საურნალო საამქროს იმ ცვლებს, რომლებსაც ინჟინერები კ. მელიქკარამოვა, ჭანტურია და გოცირიძე ხელმძღვანელობენ.

საამქროს საუკეთესო უბნის სახელი ღირსეულად დაიმსახურეს ბლუმინგის საამქროდან ამხ. გეოკოს, კავშირგაბმულობის საამქროდან ამხ. საკანის, რკინიგზის საამქროდან ამხ. დოლენჯაშვილის უბნებმა.

გარდა ამისა, ქარხნის საუკეთესო ხარისხის ბრიგადებს შორის პროფკავშირის კომიტეტმა გამარჯვებულად ცხო 34 ბრიგადა, ხოლო წამყვანი პროფესიის მუშებიდან — 192 მოწინავე მეტალურგი.

ნოვაჯორ პ. სვანიძის მეთოდით

ოჩამჩირე. („კომუნისტის" კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა თამბაქოს რგვა. კოლმეურნეები იმისათვის იბრძვიან, რომ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 15 ცენტნერი თამბაქო. ბევრია ისეთი კოლმეურნე, რომელსაც თამბაქოს უხვი მოსავალი მოჰყავს. მაგალითად, სოფელ ჯგერდის ა. წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს, სოციალისტური შრომის გმირს მ. ამოჭბას ყოველწლიურად ჰექტარზე 35-40 ცენტნერი თამბაქო მოჰყავს. თამბაქოს კულტურისაგან დიდ შემოსავალს იღებენ სოფელ მეორე ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში. შარშან კოლმეურნეებმა 5,1 მილიონი მანეთი შემოსავალი მიიღეს. სწრაფი ტემპით რგავენ აქ თამბაქოს. მერვე ბრიგადის მერგოლურმა ი. ჭოლოკიანმა იკისრა თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 25 ცენტნერი თამბაქო. რგოლს მიზნად აქვს დასახული თვითეულ ჰექტარზე შეინარჩუნოს 95-100 ათასი ძირი ნერგი.

დროულად და კარგად რგავენ თამბაქოს სოფელ მოქვის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მოქველებმა იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 30 ცენტნერი თამბაქო და ნედლეულის დამზადების გეგმა 300 პროცენტით შეასრულონ. კოლმეურნეები თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ეფექტურად იყენებენ ორგზის სოციალისტური შრომის გმირის პროკოფი სვანიძის მუშაობის მდიდარ გამოცდილებას.

კონკურსები გამოჩენილ რუს მეცნიერთა სახელობის პრემიების მოსაპოვებლად

ცოდნის სხვადასხვა დარგში საუკეთესო მეცნიერული გამოკვლევებისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია აკუთვნებს გამოჩენილ რუს მეცნიერთა სახელობის პრემიებს.

ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყველა განყოფილებამ გამოაცხადა კონკურსი აკადემიის პრემიებისა და ოქროს მედლების მოსაპოვებლად. კონკურსებში მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის საკავშირო ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, ქარხნების ლაბორატორიებისა და საცდელი სადგურების მეცნიერი მუშაკები.

ნიადაგების ნაყოფიერების გაზრდების უახლესი მეთოდების, ადამიანის დაავადებებთან ბრძოლის ქმედით ღონისძიებათა გამოძებნაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა მიკრობიოლოგიას. მიკრობიოლოგიის, იმუნოლოგიის, ეპიდემიოლოგიის, ინფექციურ ავადმყოფობათა მკურნალობის დარგში საუკეთესო ნაშრომებისათვის და ბიოლოგიის დარგში დიდი სამეცნიერო მიღწევებისათვის მიეკუთვნება ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის პრემიები. მცენარეთა სისტემატიკის, ანატომიისა და მორფოლოგიის დარგში, ბოტანიკური გეოგრაფიისა და პალეობოტანიკის დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის წელს მიკუთვნებულ იქნება დიდი მეცნიერი ბოტანიკოსის ვ. ლ. კომაროვის სახელობის პრემია.

გამოცხადებულია კონკურსები დიდ რუს ბუნებისმეტყველთა კ. ა. ტიმირიაზევისა და ი. პ. პავლოვის სახელობის პრემიების მოსაპოვებლად. ი. პ. პავლოვის სახელობის ოქროს მედალი მიეკუთვნება ორ წელიწადში ერთხელ საბჭოთა ფიზიოლოგს ან მედიკოსს დიდი რუსი ფიზიოლოგის მოძღვრების განსაკუთრებულად შესრულებული ნაშრომისათვის.

ქიმიასა და ფიზიკაში ორიგინალური თეორიული გამოკვლევებისა და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომებისათვის წელს მიკუთვნებულ იქნება დიდი რუსი მეცნიერის დ. ი. მენდელეევის სახელობის პრემიები; გეოქიმიისა და ბიოგეოქიმიის, მინერალოგიისა და კრისტალოგრაფიის დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის —ვ. ი. ვერნადსკის სახელობის პრემია.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგია-გეოგრაფიის მეცნიერებათა განყოფილებამ გამოაცხადა აგრეთვე კონკურსი ა. პ. კარპინსკის სახელობის ოქროს მედლის მოსაპოვებლად, რომელიც მიკუთვნება თვალსაჩინო მეცნიერული ნაშრომისათვის გეოლოგიის, პალეონტოლოგიის, პეტროგრაფიისა და წიაღისეულის დარგში.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონკურსებს დიდი რუსი კრიტიკოსისა და რევოლუციური დემოკრატის ბ. გ. ბელინსკის სახელობის პრემიების მოსაპოვებლად. მისი სახელობის პრემიები დაარსდა დიდი კრიტიკოსის ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით. ბ. გ. ბელინსკის სახელობის პრემიები ყოველწლიურად მიეკუთვნება ლიტერატურული კრიტიკის ყველა დარგში საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისა და ბ. გ. ბელინსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოკვლევებისათვის. (საკდესი).

ჯაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გამოშვება

სტალინაბადი. 28 მაისი. (საკდესი). წელს ორმოცდახუთმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა დაამთავრა ტაჯიკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიოლოგიის განყოფილება.

გუშინ სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ მიიღო უკანასკნელი სადიპლომო ნაშრომი. უნივერსიტეტის პირველმა გამოშვებამ ცოდნის მაღალი დონე დაგვანახვა—41 კაცმა დაიცვა სადიპლომო ნაშრომი ფრიადზე და კარგზე. იბეჭდება მთელი რიგი სადიპლომო ნაშრომები მებამბეობის, სელექციის, საჯიშე საქმის, აბრეშუმის ჭიის საკითხებზე. ამ ნაშრომებს მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის.

ახალგაზრდა ბოტანიკოსთა და ზოოლოგთა ჯგუფი უმცროს მეცნიერ თანამშრომლებად იგზავნება ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებში. ზოგიერთი კურსდამთავრებული დატოვებულია სამეცნიერო მუშაობის განსაგრძობად უნივერსიტეტის კათედრაზე. დანარჩენი კურსდამთავრებულნი იგზავნებიან რესპუბლიკის სკოლებში სამუშაოდ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ქუთაისი, 27 მაისი. (საქდესი). გაიმართა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მეორე პლენუმი, რომელმაც განიხილა ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების საკითხი. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ჭანყუყაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ოლქის კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გადიდების 1951 წლის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. გადამეტებით შესრულდა ცხენის, ცხვრის, თხისა და ღორის სულადობის გადიდების გეგმა.

ამასთანავე ოლქის მთელი რიგი რაიონები სისტემატურად ვერ ასრულებენ მეცხოველეობის განვითარების გეგმას. ამ მხრივ ძლიერ ჩამორჩებიან წყალტუბოს, ორჯონიკიძის, ხობის, წალენჯიხის, ონისა და ამბროლაურის რაიონების კოლმეურნეობები. არის არაერთი ფაქტი, როცა ჩქმალავენ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას — პირუტყვის სულადობის გადიდებას მხოლოდ და მხოლოდ შესყიდვის გზით.

ნაცვლად იმისა, რომ გაამრავლონ თავიანთი ჯოგი, შექმნან მტკიცე საკვები ბაზა და გაადიდონ პირუტყვის პროდუქტიულობა, ზუგდიდის, მახარაძის, ზესტაფონის, ქუთაისის, ცხაკაიას, გეგეჭკორისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში პირუტყვის სულადობის შევსება ხდებოდა წლის დამლევს იმით, რომ კოლმეურნეობათა სახსრებით სხვაგან ყიდულობდნენ პირუტყვს. ლანჩხუთის, ცაგერის, ზუგდიდის, ხობისა და სამტრედიის რაიონების მეცხოველეებმა არ იზრუნეს პირუტყვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, პირუტყვის კარგად მოწყობილი სადგომების მშენებლობისათვის, აუცილებელ ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ამის შედეგად აქ პირუტყვის სიკვდილიანობის შემთხვევები იყო.

სუსტად წარმოებს პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის ბრძოლა. ყოველი საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა ოლქის კოლმეურნეობებში 1951 წელს შეადგენდა 599 ლიტრს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 860 ლიტრისა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში იყო ძროხის ფაქტიური წველადობის მაჩვენებლების განზრახ გადიდების აღმაშფოთებელი შემთხვევები.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. გობრონიძემ, ვანის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ცხოვრებაძემ, ონის რაიკომის მდივანმა ამხ. კ. ქოქოსაძემ, ქლუხორის რაიკომის მდივანმა ამხ. ფ. ვაჩაძემ, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ლომიძემ და სხვებმა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ოცი ათასი ექსკურსანტი ოთხ თვეში

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქვამენ ძველი ქართული ქალაქის—გორის სახელს მსოფლიოს ყველა კუთხეში. აქ დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა მშრომელთა დიდმა ბელადმა, მშვიდობის მედროშემ ი. ბ. სტალინმა. ბელადის სახელთან დაკავშირებული ადგილები ერთნაირად ძვირფასია თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის.

გორის ისტორიული სახლის სანახავად მოდიან საბჭოთა ადამიანები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, უკრაინიდან და ბალტიისპირეთიდან, ციმბირიდან და ურალიდან, შუა აზიიდან და შორეული ალმოსავლეთიდან... ყოველდღე მრავალი სტუმარი ჰყავს გორს.

უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში სტალინის სახლ-მუზეუმი ოცი ათასზე მეტმა ადამიანმა ინახულა. აქ იყო ექსკურსანტთა სამსზე მეტი ჯგუფი.

ამ დღეებში ბევრი სტუმარი იყო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. იყვნენ ჩინეთიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ნორვეგიიდან, მექსიკიდან, ჩილიდან, ბრაზილიიდან, არგენტინიდან. ყველა დიდი ინტერესით ათვალიერებს ამ ისტორიულ სახლს.

22 მარტს ჩინელმა მწერალმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა დინ-ლინმა, როცა სტალინის სახლ-მუზეუმი დაათვალიერა, შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა:

„სტალინი მთელი მსოფლიოს ხალხთა უშეტესობა, მშვიდობის მედროშეა მთელ მსოფლიოში, ბედნიერი ცხოვრების შემოქმედია. ძნელია იმ გრძნობის გადმოცემა, რომლითაც აღივსო ჩვენი გული, როცა აქ მოვედით. ფიცსა ვდებთ ვემსახუროთ კაცობრიობის კეთილდღეობას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს“.

წინა დღით სახლ-მუზეუმის ნახვით აღფრთოვანებულმა ესპანეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელისა და ესპანეთის მუშათა კლასის ბელადის ხოსე დიასის ქალიშვილმა ტერეზა დიასმა შთაბეჭდილებათა წიგნში ეს სიტყვები ჩაწერა:

„გორის ისტორიული სახლის ნახვამ დიდად აგვაღელვა. ეს გამოიწვია იმ ადგილის დათვალიერებამ, სადაც უბრალო მუშის ოჯახში დაიბადა სოციალისტური რევოლუციის გენია, კომუნიზმის მშენებლობის გენია. ამ ისტორიულ ადგილზე უფრო ძლიერად განვიცდით უსაზღვრო რწმენას ამხანაგ სტალინის ძლევამოსილი საქმის გამარჯვებისადმი. ესპანელ ხალხს მუდამ ეყვარება სტალინის საქმე, ისე როგორც უყვარს საბჭოთა ხალხს“.

ყველა, ვინც კი გორის ისტორიულ სახლს ნახავს, უკან ბრუნდება ერთი რწმენით, ერთი გადაწყვეტილებით: იმუშაოს უფრო თავდადებით, მთელი ძალღონე მოახმაროს მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პლანტაციები მოუვლელია, ჩაის დამზადება ფერხდება

ხობი. (საკ. კორ.). პლანტაციების უხარისხოდ დამუშავებისა და მოუვლელობის გამო ხობის რაიონში ჩაის ფოთოლი წელს გვიან შემოვიდა და მაისის პირველ ნახევარში თვიური გეგმის მხოლოდ 11 პროცენტის რაოდენობით მოიკრიფა. მართალია, თვის მეორე ნახევარში ფოთოლი ყველგან მასობრივად შემოვიდა, მაგრამ კრეფის მაღალი ტემპი არც მაშინ აუღიათ. სოფელ ახალხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც დღეში 30 00 კილოგრამი ჩაი მაინც უნდა იკრიფებოდეს, მხოლოდ 900-950 კილოგრამს კრეფენ. მოკრეფილი ფოთლის ნაწილი მეორე ხარისხისაა. არის უხარისხო ფოთლის კრეფის შემთხვევებიც.

ჩაის კრეფა მოუწესრიგებელია სოფელ ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაშიც. ჩამორჩენას აქ იმით ხსნიან, რომ პლანტაციებში ბევრგან ეკალ-ბარდია და კრეფა გაძნელებულია, ხოლო იმაზე, რომ ამაში თვითონ არიან დამნაშავენი, არაფერს ლაპარაკობენ. მაისში მოსაკრეფი 27 ტონიდან 19 მაისამდე მხოლოდ 4 ტონა ჩაი იყო მოკრეფილი, აქედან ნაწილი მეორე ხარისხისა.

ჩაის ფოთოლს ნელა კრეფენ აგრეთვე ხობის სტალინისა და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებსა და ახალხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ჩაის საკითხებზე ხშირად ლაპარაკობენ თათბირებზე, რაიკომის ბიუროს სხდომებსა და პლენუმებზე, რაისაბჭოს აღმასკომის სესიებზე, დადგენილებებიც გამოაქვთ, მაგრამ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისათვის ნაკლებად ზრუნავენ.

ჩაის კრეფის ტემპი სასწრაფოდ უნდა გაძლიერდეს, დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას უდარდელობისა და თვითკმაყოფილების განწყობილება.

დავაჩქაროთ კომბაინების რემონტი

მცხეთა. (საკ. კორ.). 5.000 ჰექტარ ფართობზე უნდა აიღოს წელს პურეულის მოსავალი მცხეთის მტს-მა. ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის მტს-ის კოლექტივი არადამაკმაყოფილებლად ემზადება. გააჟიანურეს კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი, თუმცა ამ სამუშაოს დამთავრების ვადა დიდი ხანია ამოიწურა, შესაკეთებელია სამი კომბაინი და ორი სალეწი მანქანა.

კომბაინების რემონტში ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მექანიზატორთა შორის დაბალია შრომის დისციპლინა, მოუგვარებელია შრომა. ზოგიერთ კომბაინს აკლია ნაწილები. მტს-ის მთავარი მექანიკოსი ამხ. გზირიშვილი სუსტად ხელმძღვანელობს რემონტს. მტს-ი დაკომპლექტებული არ არის კომბაინერთა გამოცდილი კადრით.

მცხეთის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ მტს-ში მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გავაუმჯობესოთ საბჭოთა ვაჭრობა, გავაძლიეროთ სოციალისტური საკუთრების დაცვა-ორგანოები

(სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი)

24-25 მაისს შედგა სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი მრეწველობის, სამინისტროებისა და გამსაღებელი ბაზების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის ამხ. მ. ნარსიას მოხსენება—ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

— ჩვენს რესპუბლიკაში, — აღნიშნავს მომხსენებელი, — გაფართოვდა საქონელბრუნვა, განმტკიცდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ქალაქებსა და სოფლებში გაიზარდა სავაჭრო ქსელი, გაიხსნა ახალი მაღაზიები, სასადილოები, პავილიონები.

ზოგიერთი მიღწევის მიუხედავად, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ვაჭრობის სამინისტროს კოლეგია კონკრეტულად არ ხელმძღვანელობს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას. ვაქაყოფილდებით საკითხების მხოლოდ განხილვით და დადგენილებათა მიღებით. გარდატეხა კი ჯერ არ ჩანს. საქონელბრუნვის ოთხნახევარი თვის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 93,4 პროცენტით, აქედან ვაჭრობის სამინისტროს სისტემის მიერ—97,4 პროცენტით და ცეკავშირის მიერ—80,6 პროცენტით. გეგმების შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ თბილისის უნივერმაღი, თბილვაჭრობა, თბილისის მარჯვენა ნაპირის სასადილოების ტრესტი, საქართველოს კურორტვაჭრობა, საქვაჭრობა, აფხაზვაჭრობა, ქუთაისის ვაჭრობა და სხვ. გეგმებს სისტემატურად ვერ ასრულებენ საქვაჭრობის ზუგდიდის, მახარაძის, სამტრედიის, დუშეთის, თელავის და გურჯაანის განყოფილებები.

დიდია საქონლის ზენორმატიული ნაშთი. სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ საქონლის ზენორმატივული ნაშთი აფერხებს საქონელბრუნვის გაშლას, ქმნის ფინანსიურ სიძნელეებს. ნაკლოვანებებია აგრეთვე სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფონდის ათვისების საქმეში.

სავაჭრო ქსელის მუშაკთა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის შედეგად ცუდად არის ორგანიზებული პურით ვაჭრობა რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში (თბილისი, რუსთავი და სხვ.). არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში ვაჭრობა ძეხვეულით, საკონდიტრო და კულინარული ნაწარმით. ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ამხ. ნუჟნიაკოვი და ვაჭრობის სამინისტროს სასურსათო განყოფილების გამგე ამხ. მოლაშვილი საჭირო ზომებს არ იღებენ სასურსათო საქონლით ვაჭრობის უკეთ მოწყობისათვის.

ამხ. ნარსია თათბირის დამსწრეთა ყურადღებას ამახვილებს კურორტებზე სავაჭრო მომსახურების ცუდ მდგომარეობაზე. საქართველოს კურორტვაჭრობის და აფხაზეთის კურორტვაჭრობის (მმართველები ამხ. გიორგობიანი და ამხ. ჯანჯღავა) სუსტი მუშაობის შედეგად შარშან კურორტებზე მოუწესრიგებელი იყო ვაჭრობა ნაყინით, მინერალური წყლებით, ლუდით და სხვა საქონლით. წელს ასეთი შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ.

მომხსენებელი ეხება მომხმარებელთა მიმართ უხეშად მოპყრობის, ზომა-წონაში მოტყუების, ხურდა ფულის მიუცემლობის ფაქტებს.

ჩერდება რა საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი გაძლისა და განვითარების ღონისძიებებზე, ამხ. ნარსია აღნიშნავს:

— სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოზიდვა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საკოლმეურნეო ვაჭრობის სამმართველო (უფროსი ამხ. ჭკუასელი) საჭირო ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევს საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობას.

სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა წინააღმდეგ უსმობელი ბრძოლა სავაჭრო ორგანიზაციათა უპირველესი მოვალეობაა. მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციათა ყველა მუშაკი მონდომებით როდი იბრძვის სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა წინააღმდეგ. პირიქით, არის დამნაშავეთა მიმართ ლმობიერებისა და მფარველობის ფაქტები.

სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელში ჯერ კიდევ ახერხებენ გაძრომას შემთხვევითი პირები, რომლებიც ანაიავებენ მსხვილ თანხებს, ზიანს აყენებენ სახელმწიფოს. ასეთი ფაქტები გამოვლინდა საქვაჭრობაში, აფხაზეთის ვაჭრობაში, მარცხენა ნაპირის თბილვაჭრობაში და სხვ. ვაჭრობის სამინისტრომ და მისმა სარევიზიო ჯგუფმა ვერ უზრუნველყო სათანადო ხელმძღვანელობა გაფლანგვა-მტაცებლობის ლიკვიდაციის საქმეში. საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის ამოცანა ვაჭრობის მუშაკებს ავალებს გაძლიერონ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა, განახორციელონ ყველა ღონისძიება გაფლანგვა-დატაცების აღმოსაფხვრელად.

ვაჭრობის მუშაკთა შორის კვლავ არიან ისეთი უღირსი პირები, რომლებიც თავიანთი ბნელი საქმეებით ძირს უთხრიან საბჭოთა სახელმწიფოს. სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მუშაკთა სამუშაოზე მიღებისას გულდასმით არ ამოწმებენ და არ სწავლობენ მათს პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს. არც საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო იჩენს საჭირო ყურადღებას კადრების შერჩევის საქმეში.

სერიოზული ნაკლოვანებანი სავაჭრო ორგანიზაციებში იმის შედეგია, რომ დანერგილი არ იყო და პატივისცემით არ სარგებლობდა კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტიკა. ვაჭრობის სამინისტრო გატაცებული იყო გეგმების შესრულების საერთო მაჩვენებლებით, რის შედეგად შეუმჩნეველი რჩებოდა ჩრდილოვანი მხარეები.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი. პირველი გამოვიდა აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ამხ. მ. ბებია, რომელმაც ილაპარაკა აფხაზეთის სავაჭრო ორგანიზაციებში არსებულ ნაკლოვანებებზე.

ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ს. გურგენიძემ განაცხადა, რომ ქუთაისის ოლქში მიმდინარე წელს საქონელბრუნვის ოთხი თვის გეგმა შესრულებულია 87,8 პროცენტით. გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ ჩხოროწყუს, წალენჯიხის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, გეგეჭკორის, მახარაძის, ზუგდიდის და სხვა რაიონები. ამის მიზეზია სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობა. ვაჭრობის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებს. ცუდად არის დაყენებული კადრების შერჩევა და განაწილება.

აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრმა ამხ. შ. შარაშიძემ აღნიშნა: აჭარაში ყურადღება არ ექცევა საქონლის ფონდების ათვისებას, სავალდებულო ასორტიმენტის მინიმუმის დაცვას. ზოგჯერ მაღაზიებში არ არის ის საქონელი, რაც საწყობებსა და ბაზებში უხვად აწყვია. საქონლის მომწოდებელი ბაზები ცუდად მუშაობენ, სავაჭრო ორგანიზაციებს თანაბარი რაოდენობით არ აწვდიან საქონელს. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის სახელმწიფო და კოოპერაციული ქონების განიავების, სავაჭრო ორგანიზაციებში შეუმოწმებელ პირთა მიღების ფაქტები.

როგორც ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგემ ამხ. გ. სტურუამ თათბირზე განაცხადა, კოოპერაციის სისტემა ვერ ასრულებს გეგმებს. ეს იმის შედეგია, რომ ცუდად იყო დაყენებული კადრებთან მუშაობა, დანერგილი არ იყო კრიტიკა ქვემოდან და თვითკრიტიკა, არ წარმოებდა საქონლის სწორი მანევრირება. სამწუხაროდ, რაიონის სავაჭრო ქსელში დღემდე დამყარებული არ არის ბოლშევიკური წესრიგი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საოლქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ნ. მაისურაძემ აღნიშნა, რომ შემოწმებულ იქნა საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობა. მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა, რომ ამ შემოწმებას არსებითი შედეგები არ მოჰყოლია. დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში პროდუქტების სამცირეა, არის სპეკულაციის შემთხვევებიც. ამხ. მაისურაძეს დაავიწყდა, რომ შემოწმება საჭიროა საქმის გამოსასწორებლად და არა მოვალეობის მოსახდელად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების გამგემ ს. აბაშიძემ, თბილვაჭრობის დირექტორის მოადგილემ შ. კაპანაძემ, სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექციის უფროსმა საქართველოს სს რესპუბლიკაში გ. ლეკიაშვილმა, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ მ. წვერავამ, თბილისის მარჯვენა ნაპირის სასადილოების ტრესტის დირექტორმა პ. შარაშაძემ და სხვებმა.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ვ. ბაქრაძემ.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

თბილისის XXI საქალაქო პარტიულმა კონფერენციამ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე სერიოზული ნაკლოვანებანი გამოამჟღავნა დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-ორგანიზაციულ და პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში.

პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების საქმიანობაში დაშვებული სერიოზული შეცდომები და ჩავარდნა მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ცუდად იყო დაყენებული ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლება და მშრომელთა აღზრდა კომუნისტური სულისკვეთებით. დედაქალაქის ბევრი პარტიული ორგანიზაცია ყურადღებას არ აქცევდა პარტიული სწავლების ხარისხის ამაღლებას, ზერელედ ხელმძღვანელობდა პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობას, ღრმად არ სწვდებოდა მეცადინეობის იდეურ შინაარსს.

ცნობილია, რომ პროპაგანდისტი პარტიული განათლების ცენტრალური ფიგურაა. მის თეორიულ მომზადებაზე და მეთოდურ დახელოვნებაზე ბევრად არის დამოკიდებული პარტიული განათლების წარმატება. საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებები კი სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ პროპაგანდისტებთან მუშაობას. ამის გამო პროპაგანდისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ დაბალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე ატარებს მეცადინეობას, დოგმატურად და შედავითნურად უდგება მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი დებულებების გადმოცემას, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს მჭიდროდ ვერ უკავშირებს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

კადრების პოლიტიკური თვითგანათლების საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით. ბევრი კონსულტანტი ფორმალურად უდგება თავისი მოვალეობის შესრულებას, უინიციატივოდ მუშაობს და ქმედით დახმარებას არ უწევს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთ. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ინტერესს იჩენს კომუნისტების პოლიტიკური თვითგანათლებისადმი, არ ეხმარება და კონტროლს არ უწევს მათ. ამიტომ ჯერ კიდევ ბევრი კომუნისტი თვითგანათლების მომიზეზებით ფაქტიურად არ მეცადინეობს.

პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს სისტემატურად უნდა დავეხმაროთ. საჭიროა თვითეულს მივუდგეთ ინდივიდუალურად, ხელი შევუწყოთ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევების გამომუშავებაში, ჩავუნერგოთ სიყვარული და გემოვნება თეორიის შესწავლისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების კითხვის მოთხოვნილება.

კონსულტანტი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა მუშაობის ორგანიზატორია. კონსულტანტის მეშვეობით პარტორგანიზაცია ახორციელებს კომუნისტთა პოლიტიკური თვითგანათლების საქმისადმი ხელმძღვანელობას. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები სერიოზულად უნდა მუშაობდნენ კონსულტანტებთან.

პარტიული განათლების სისტემაში მთავარია ზრუნვა სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის, მისი იდეური შინაარსისათვის. კომუნისტების სწავლებას კონტროლი რომ გავუწიოთ, საჭიროა კონკრეტულად გავერკვეთ მეცადინეობის, ლექციის, კონსულტაციის თეორიულ შინაარსში, მივცეთ სწორი მიმართულება პროპაგანდისტების მუშაობას.

თბილისის XXI პარტიულმა კონფერენციამ უაღრესად დიდი და პასუხსაგები ამოცანები დაუსახა პარტიულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისა და კომუნისტური სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საქმეში.

დედაქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები ამ ამოცანის განსახორციელებლად, გააძლიერეს ზრუნვა პროპაგანდისტებთან მუშაობის გაუმჯობესებისა და მეცადინეობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის.

მიმდინარე სასწავლო წელს დედაქალაქში პარტიული განათლების სისტემაში გაერთიანებულია 51.511 კაცი, აქედან 37.411 კომუნისტი. ქალაქში შექმნილია და მეცადინეობს 925 სხვადასხვა სახის წრე და პოლიტსკოლა, რომლებშიც გაერთიანებულია 17.961 მსმენელი: რაიონულ კომიტეტებთან და მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილია და მუშაობს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის და პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი 39 მუდმივმოქმედი სემინარი, რომლებშიც გაერთიანებულია 1.023 კაცი. 30 ათასი კაცი დამოუკიდებლად ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ისინი უმთავრესად ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკებია.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში.

სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის მზადების ძირითად ამოცანას წარმოადგენს პოლიტიკური სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლება, პარტიული განათლების ქსელში სასწავლო გეგმების შესრულება და შემაჯამებელი მეცადინეობის მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ჩატარება.

ამ მიმართულებით უკვე გაიმალა მუშაობა. ამას წინათ გაიმართა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტთა საქალაქო თათბირი, რომელიც მიეძღვნა პროპაგანდისტთა ამოცანებს სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების საქმეში; პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში მოეწყო რაიკომების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებისა და პარტკაბინეტების გამგეების თათბირი; პარტიული განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე მოწვეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტისა და რაიკომების პლენუმები, რომლებზეც განხილულ იქნა პარტიული განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანების საკითხი.

სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებაში გადამწყვეტი როლი პროპაგანდისტს ეკუთვნის. ამიტომ საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ პროპაგანდისტის პასუხისმგებლობა მეცადინეობის იდეური დონისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეცადინეობის დამთავრების ვადების განსაზღვრას. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პარტიული განათლების სისტემაში მიზანშეწონილია სასწავლო წლის დამთავრება სოფლად მაისს, ხოლო ქალაქად ივნისის ბოლოს. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა პოლიტსკოლამ და წრემ ერთსა და იმავე დროს დაამთავროს მეცადინეობა.

პარტორგანიზაციები დაწვრილებით უნდა გაეცნონ თვითეულ პოლიტსკოლასა და წრეში საქმის მდგომარეობას, ზუსტად გამოარკვიონ, როგორ სრულდება სასწავლო გეგმები, რა დახმარებას საჭიროებენ მსმენელები და პროპაგანდისტები. მხოლოდ ამის შემდეგ ექნებათ მათ შესაძლებლობა თვითეული პოლიტსკოლისა და წრისათვის განსაზღვრონ მეცადინეობის დამთავრების ვადები კონკრეტული პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. არ უნდა დავუშვათ სასწავლო პროგრამის ნაჩქარევად გავლა ან მეცადინეობის ვადაზე ადრე შეწყვეტა. სასწავლო პროგრამის გავლაში ჩამორჩენა არ შეიძლება შეესებულ იქნას დამატებითი დღეების შემოღებით, ან მეცადინეობის საათების გახანგრძლივებით. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ აჩქარება სერიოზულ ზიანს აყენებს პარტიული განათლების საქმეს.

იმ პოლიტსკოლასა და წრეში, სადაც შეუძლებელია მეცადინეობის ხარისხის მიუყენებლად სასწავლო პროგრამის ამოწურვა მიმდინარე სასწავლო წელს, უმჯობესია სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დარჩენილი თემების შესწავლა გადატანილ იქნას მომავალი სასწავლო წლისათვის.

პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამამთავრებელ ეტაპს წარმოადგენს შემაჯამებელი მეცადინეობა, რომლის მიზანია მსმენელთა ცოდნის განმტკიცება, თვითეული მსმენელის მომზადების დონის გამოვლინება და იმის განსაზღვრა, თუ მომავალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების რომელ რგოლში უნდა იქნას ჩაბმული ესა თუ ის ამხანაგი. ამიტომ შემაჯამებელი მეცადინეობა ამავე დროს მომავალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელის სწორად დაკომპლექტების ძირითად პირობასაც წარმოადგენს. ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მსმენელთა პირადი სურვილიც.

სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ პროპაგანდისტთა სემინარებმა. იმისათვის, რომ შემაჯამებელი მეცადინეობა მაღალ იდეურ-თეორიულ და მეთოდურ დონეზე ჩატარდეს, საჭიროა პროპაგანდისტთა სემინარებზე განხილულ იქნას შემაჯამებელი მეცადინეობის სანიმუშო გეგმა და მეთოდიკა. პარტკაბინეტების მოვალეობაა სრულიად დაეხმარონ მსმენელებსა და პროპაგანდისტებს გავლილი მასალის გამეორების უკეთ მოწყობასა და შემაჯამებელი მეცადინეობის საქმიანად ჩატარებაში. პარტკაბინეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ თეორიულ და მეთოდურ საკითხებზე კონსულტაციების მოწყობას, შესწავლილ თემებზე ლიტერატურისა და თვალსაჩინო მასალების შერჩევას, პროპაგანდისტთა, მსმენელთა და მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა მუშაობაში შეძენილი დადებითი გამოცდილების გავრცელებას.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ შემაჯამებელი მეცადინეობა მაშინ იძლევა სასურველ შედეგებს, როცა იგი იმართება ცოცხალი, შემოქმედებითი საუბრის მეთოდით და როცა მასში მონაწილეობას იღებს ყველა მსმენელი. არ უნდა დავუშვათ შემაჯამებელი მეცადინეობის თეორიულ გასაუბრებად ან გამოცდებად გადაქცევა.

პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისათვის უნდა მოეწყოს თეორიული გასაუბრება ინდივიდუალური სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ ნაწარმოებთა ძირითად საკითხებზე. პარტორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ დახმარება თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისადმი, მოაწყონ მათთვის ლექციები და კონსულტაციები, გაითვალისწინონ მათი კონკრეტული მოთხოვნები.

შემაჯამებელი მეცადინეობისა და თეორიული გასაუბრების შედეგები უნდა გავაცნოთ მსმენელებს და პოლიტიკურ თვითგანათლებაზე მომუშავე ამხანაგებს. მათ უნდა განემარტოს, თუ როგორ სწავლობდნენ პოლიტსკოლასა და წრეში, როგორ ეუფლებოდნენ დამოუკიდებლად მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, რომელი საკითხი ვერ შეითვისეს კარგად, რა ნაკლი აქვთ პოლიტიკური თვითგანათლების საქმეში და რას უნდა მიაქციონ მომავალში მეტი ყურადღება.

შემაჯამებელი მეცადინეობა პროპაგანდისტებისა და კონსულტანტების მუშაობის სერიოზული გამოცდაა. ამასთან იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ხელმძღვანელობს პარტიული ორგანიზაცია მარქსისტულ-ლენინური თეორიით კომუნისტების შეიარაღების საქმეს.

პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ყველა ღონისძიება განახორციელონ სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისათვის. ეს ხელს შეუწყობს პარტორგანიზაციების იდეური ცხოვრების, მათი ბრძოლისუნარიანობისა და

პრესის მიმოხილვა

ცხოვრებას მოწყვეტილი გაზეთი

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით გასული წლის 6 სექტემბრის ნომერში გორის რაიონულმა გაზეთმა „სოციალისტურმა სოფელმა“ (რედაქტორი ნ. ფატარაიძე) დაბეჭდა მოწინავე წერილი „საუკეთესოდ მოვემზადოთ პარტიული განათლების ქსელში სწავლის დაწყებისათვის“. წერილში ნაგულისხმევი იყო ის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ“ პოლიტსკოლებსა და წრეებში. შემდეგ მოცემული იყო ციფრობრივი მასალა ახალი სასწავლო წლისათვის შექმნილი პოლიტსკოლებისა და წრეების, პროპაგანდისტების და მსმენელთა რაოდენობის შესახებ.

წერილში ერთი სიტყვაც არ იყო პარტიული განათლების სისტემაში წინა სასწავლო წელს არსებულ ნაკლოვანებებზე. ასევე არაფერი იყო ნათქვამი ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

ოქტომბერში პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გაზეთში დაიბეჭდა რამდენიმე ინფორმაციული ხასიათის წერილი პოლიტსკოლებსა და წრეებში პირველი მეცადინეობის შედეგებზე. მაგრამ მათში არაფერი იყო ნათქვამი მეცადინეობის იდეურ დონეზე.

ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე გაზეთში გამოქვეყნებული მასალების უფერულობა, ზერელეობა იმით აიხსნება, რომ რედაქცია მის გაშუქებას ცალმხრივად უდგება, უყურადღებოდ ტოვებს მთავარს — პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობის იდეურ დონეს, არ სწავლობს საქმის ნამდვილ ვითარებას.

გაზეთის მიმდინარე წლის 16 თებერვლის ნომრის მოწინავე წერილი—„ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე ჩავატაროთ პარტორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები“, თავიდან ბოლომდე ზოგადია, დაწერილია უაზროდ. უფრო მეტიც, წერილში გატარებულია საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების საწინააღმდეგო აზრი. გაზეთი წერს: „საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პერიოდში შეჯამებულ უნდა იქნას პარტიული ორგანიზაციის მიერ ორი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა“.

გაზეთში ზოგჯერ ქვეყნდება შეუმოწმებელი, სინამდვილეს მოკლებული მასალები. მიმდინარე წლის 19 აპრილის ნომრის მოწინავე წერილი ეხება კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის საკითხს. აი რას წერს გაზეთი:

„რაიონის საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა კოლმეურნეობების გამგეობის სამეურნეო მოღვაწეობისადმი პარტიული კონტროლის კარგ მაგალითს იძლევა. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ სოფელ თორტიზის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. თორტიზის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. კოლმეურნეთა თავდადებული მუშაობით, მექანიზაციის ფართოდ გამოყენებით და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვით იგი ყოველწლიურად ზრდის შემოსავალს და მოსავლიანობას. ყოველივე ეს შედეგია იმისა, რომ კოლმეურნეობის გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას წარმატებით ახორციელებს პარტიული ორგანიზაცია, რომელიც სისტემატურად იხილავს კრებებზე სამეურნეო საკითხებს და ლებულობს კონკრეტულ ღონისძიებებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად“.

ერთი თვის შემდეგ კი მოწინავე წერილი მოულოდნელად გვაუწყებს, რომ სოფელ თორტიზის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია მთელი შესაძლებლობით არ იბრძვის, არ მუშაობს და არ რაზმავს საკოლმეურნეო ძალებს მოსავლიანობის აღმავლობისათვის.

„აღნიშნული პარტიული ორგანიზაცია, — წერს გაზეთი, — სისტემატურად არ იხილავს კრებებზე სამეურნეო საკითხებს, არ სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება პურეულის მოსავლის შემდგომი გადიდებისათვის“.

ასეთი ფაქტები ერთეული როდია.

29 აპრილის მოწინავე წერილი „საუკეთესო მაჩვენებლებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში“ დაწერილია მდგომარეობის შეუსწავლელად. იგი უფერული, უშინაარსოა. წერილში დაუმსახურებლად არის შექებული გორის რაიისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც გაზეთის თქმით, კომუნისტების თეორიულ სწავლებას კარგად ხელმძღვანელობს, რეგულარულად იხილავს კრებაზე პოლიტიკური სწავლების საკითხებს, დროულად ავლენს ნაკლოვანებებს და იღებს ქმედითს ღონისძიებებს მათს აღმოსაფხვრელად.

ნამდვილად კი რაიფინგანის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი წრის მეცადინეობა სამჯერ ჩაიშალა, ზოგიერთი მსმენელი ხშირად აცდენს მეცადინეობას. სახდაზღვევის ინსპექტორებმა, კომუნისტებმა თ. რამაზაშვილმა და ს. აბაზიშვილმა უმიზეზოდ ცხრამეტ-ცხრამეტი მეცადინეობა გააცდინეს. მაგრამ სასწავლო წლის მანძილზე ეს საკითხი ერთხელაც არ გამხდარა პარტიული კრების მსჯელობის საგნად. პარტიულ ორგანიზაციას არც ერთხელ არ განუხილავს წრის მუშაობის საკითხი, არ უმსჯელია იმაზე, თუ როგორ ეუფლებიან კომუნისტები მარქსიზმ-ლენინიზმს. მოწინავე წერილში სრულებით არ არის მოცემული რაიონში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა. გაზეთი ზოგადად წერს:

„მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება ავრეთვე იმისა, რომ კომუნისტების ერთი ნაწილი ამოფარებულია რა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის შირმას, სისტემატურად არ მეცადინეობს და არ იმალლებს თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს“.

გაზეთის რედაქცია დუმს და არ ასახელებს „შირმას“ ამოფარებულ კომუნისტებს, არ სურს აწყენინოს მათ.

გაზეთის რედაქცია გაურბის ნაკლოვანებათა კრიტიკას, ურიგდება კოლმეურნეობისა და მტს-ებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

გაზეთში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები: „აკლაგმოთ დამნაშავეები, გავაუმჯობესოთ პარტიული ხელმძღვანელობა“, „საბიტაცი მუშაობა გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს“, „კომუნისტების პოლიტიკურ სწავლებას არ ხელმძღვანელობენ“ და სხვ. დაბეჭდილია მას შემდეგ, როცა აღნიშნული საკითხები განხილა პარტიის რაიკომის ბიუროომ და საჭირო ღონისძიებანი დასახა.

გაზეთში უმთავრესად იბეჭდება რაიონულ დაწესებულებებში აღებული ცნობებით გაკეთებული წერილები, რასაც არც დიდი შრომა სჭირდება და არც დიდი მოფიქრება.

გაზეთის მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებები იმაზს შედეგიც არის, რომ რედაქცია არ იბრძვის გამოქვეყნებული მასალების ქმედითობისათვის. რედაქციამ ვერ შექმნა გაზეთის გარშემო ავტორთა აქტივი, იგი სუსტად არის დაკავშირებული პარტიულ ორგანიზაციებთან. ამიტომ არის, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გაზეთში არ შუქდება, ხოლო გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობა ზერელე და არაფრისმთქმელია.

დაახლოებით ერთი წლის წინათ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა გორის რაიონული გაზეთის კრიტიკული მიმოხილვა. ამასთან დაკავშირებით პარტიის გორის რაიკომმა დასახა სათანადო ღონისძიებაც. მან დაავალა რედაქციას მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესება და პარტიული ცხოვრების საკითხების ფართოდ, ღრმად გაშუქება. როგორც ვხედავთ, რაიკომის ბიუროს აღნიშნული დადგენილება არ შესრულებულა.

შეუძლებელია შევურიგდეთ ასეთ მდგომარეობას. საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომმა და პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ გორის რაიონული გაზეთის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

„კომუნისტის“ სიგნაღის შემდეგ

„ზიარის კოლმეურნეობაში მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 19 აპრილის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო კაჩრეთის რაიონის სოფელ ზიარის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების ფაქტები.

საქართველოს კ. პ. (ბ) კაჩრეთის რაიკომი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. რაიკომის ბიუროომ სოფელ ზიარის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას ურჩია მოხსნას და სამართალში მისცეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. ბაზერაშვილი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯებისა და ფულადი სახსრების მითვისებისათვის.

კოლმეურნეობის ბუხჰალტერი ბაწელაშვილი აღრიცხვისა და ანგარიშსწორების მოუწესრიგებლობის, ფულადი სახსრების მითვისებისათვის მოიხსნა თანამდებობიდან და სამართალში მიეცა.

სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის მოხსნილია და სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული“ მელორეობის ფერმის გამგე ი. იაგანაშვილი.

საქართველოს კ. პ. (ბ) კაჩრეთის რაიკომის ინსტრუქტორს ამხ. ჯიქურაშვილს გამოეცხადა საყვედური სოფელ ზიარის კოლმეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებზე შემოსული მასალების შემოწმების გაჭიანურებისათვის. სოფელ არაშენდის სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადების აგენტს, ტერიტორიალური პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ჩომახაშვილს გამოეცხადა საყვედური არასწორი მოქმედებისათვის. პარტიის კაჩრეთის რაიონული კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგეს ამხ. ძაგანიშვილს არასწორი მოქმედებისათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ მან კოლმეურნეობას გადიდებულ ფასებში მიყიდა 2 ღორი და ზედმეტად მიიღო 1.300 მანეთი და აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარის შესახებ მამხილებელი მასალების შემოწმების გაჭიანურებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური საარიცხვო ბარათში შეტანით.

რედაქციისაგან: საქართველოს კ. პ. (ბ) კაჩრეთის რაიკომის ბიუროს დადგენილება ამხ. ძაგანიშვილის მიმართ ლმობიერია. მასში სათანადოდ არ არის შეფასებული ძაგანიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაული. იგი უფრო სასტიკი სასჯელის ღირსია.



წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბოტანიკის კაბინეტში. სურათზე: საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მე-2 კურსის ფრაადსახანი სტუდენტი ციალა მაღლაფერიძე მიკროსკოპით მუშაობის დროს.

ფოტო დ. კაკიტელაშვილისა

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო უნივერსიტეტში

27 მაისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო, რომელსაც დაესწრნენ პროფესორები, მასწავლებლები, კურსდამთავრებულები და დიდძალი სტუდენტობა.

საღამო, რომელმაც საზეიმო ვითარებაში ჩაიარა, გახსნა მეოთხე კურსის სტუდენტმა ვ. კურცხალიამ. კურსდამთავრებულთა ამოცანების შესახებ სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. კეცხოველმა.

კურსდამთავრებულებს სიტყვებით მიმართეს და შემოქმედებით შრომაში წარმატება უსურვეს აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა, პროფესორებმა ვ. თოფურიამ და ქ. ლომთათიძემ.

კურსდამთავრებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს თამარ ზურაბიშვილმა, გიორგი ხუციურაულმა და ვახტანგ აბაშმაძემ. მათ აღუთქვეს თავიანთი მშობლიური უნივერსიტეტის პროფესორებისა და მასწავლებლების კოლექტივს, რომ გაამართლებენ იმ ამაგსა და მზრუნველობას, რაც მათ მიმართ მიუძღვის ლენინ-სტალინის პარტიას, პირადად დიდ სტალინს, რომლის ზრუნვასაც გრძნობს თვითეული სტუდენტი, ყოველი საბჭოთა ახალგაზრდა.

საზეიმო სხდომის შემდეგ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც უნივერსიტეტი წარჩინებით დაამთავრეს, სამახსოვროდ დაურიგეს ძვირფასი წიგნები წარწერით.

• • •

წელს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბჭოთა ქვეყანას აძლევს მაღალკვალიფიციურ ფიზიკოსებს, მათემატიკოსებს, გეოლოგებს, ეკონომისტებს, იურისტებს და სხვა დარგის 940-ზე მეტ სპეციალისტს. ისინი უკვე განაწილებული არიან სამუშაოზე როგორც რესპუბლიკაში, ისე რესპუბლიკის გარეთ.

200-მდე კურსდამთავრებული სამუშაოდ მიწვეულია მოკავშირე რესპუბლიკებში.

მიჩურინის ძეგლი სკოლაში

შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა თბილისის რკინიგზის ქალთა მე-10 საშუალო სკოლამ (დირექტორი საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, ლენინის ორდენოსანი ამხ. ო. ჯინორიძე). ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის 30 წლისთავთან დაკავშირებით სკოლაში საზეიმოდ გაიხსნა ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის ძეგლი.

ძეგლის გახსნამდე დიდი ხნით ადრე სკოლის ეზოში ნორჩმა მიჩურინელებმა მოაწყეს საუკეთესო ბაღი, სადაც სხვა მცენარეთა შორის ყურადღებას იპყრობს მიჩურინის მიერ გამოყვანილი მცენარეთა ჯიშები. ძეგლის გახსნის წინ სკოლაში თავი მოიყარეს მოწაფეებმა, მასწავლებლებმა, მშობლებმა და სტუმრებმა. მათ ყურადღებას იპყრობს პიონერ-მოსწავლეთა და ნორჩ მიჩურინელთა მიერ ფაქიზად შესრულებული გამოფენა, მიძღვნილი ვ. ი. მიჩურინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი. განსაკუთრებით გამოირჩევა მ. ჯანაშვილის მიერ შესრულებული ნახატები.

სიტყვას ამბობს სკოლის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ლ. ვარაზაშვილი. ის ლაპარაკობს მიჩურინის დამსახურებაზე, აღნიშნავს პიონერ-მოსწავლეთა და კომკავშირელთა ამაგს სასკოლო ბაღის მოწყობაში. შემდეგ სკოლის დირექტორმა ჯინორიძემ ფარდა მოხსნა მაღალ პოსტამენტზე დადგმულ ი. ვ. მიჩურინის ძეგლს, რომელიც შესრულებულია მოქანდაკე მაღრაძის მიერ. პიონერებმა ყვავილთა თაიგულებით შეამკეს ბუნების დიდი გარდამქმნელის ძეგლი.

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ

ბულგარეთი

სოფია, 27 მაისი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის ნოტები ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ მთელი ბულგარეთის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. დღეს გაზეთები „ოტეჩესტვენ ფრონტი“, „ტრუდი“, „ზემედელსკო ზნამე“ და სხვები აქვეყნებენ საბჭოთა ნოტის სრულ ტექსტს, ათავსებენ საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, სოციალისტური შრომის გმირების, დიმიტროვული პრემიის ლაურეატების და ბულგარეთის სხვა წარჩინებულ ადამიანთა მრავალ კომენტარსა და აზრებს.

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწინავე სტატიაში წერს:

ბონში 26 მაისს ხელმოწერილმა „საერთო ხელშეკრულებამ“ სავსებით დაადასტურა ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტებისა და მათი დასავლეთ გერმანელი მეამბოხეების ვერაგული მიზნების მხილება, რასაც შეიცავს საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტა. იმპერიალისტებმა საეჭვო სისწრაფით, მთელ რიგ * დემაგოგიურ განცხადებათა საფარით ხელი მოაწერეს მეტად საიდუმლოდ მომზადებულ „საერთო ხელშეკრულებას“, რომელიც მიმართულია გერმანელი ხალხის წინააღმდეგ. დადასტურდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გერმანიის გაერთიანებითა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებით კი არ არის დაინტერესებული, არამედ იმით, რომ ახალ სეპარატულ შეთანხმებათა გზით უფრო ძლიერ, ვიდრე დღემდე, დაუკავშიროს დასავლეთი გერმანია და დასავლეთ გერმანიის აღდგენის პროცესში მყოფი არმია სახელმწიფოთა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს.

მესამე მსოფლიო ომის გათავხედებულ ორგანიზატორთა ახალი დანაშაულობამ დიდი აღფოთება და მტკიცე პროტესტი გამოიწვია მშვიდობისმოყვარე ხალხთა მხრივ. ამერიკელ იმპერიალისტთა და ბონელ მოღალატეთა დანაშაულებრივმა პოლიტიკამ გერმანელი ხალხი დააყენა იმ აუცილებლობის წინაშე, როგორც ნათქვამია საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტაში, რომ ეძებოს საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის ეროვნული გაერთიანების საკუთარი გზები.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, წერს დასასრული გაზეთი, პროტესტს აცხადებენ ბონში ამერიკელი იმპერიალისტების ახალი დანაშაულობის წინააღმდეგ. ბულგარელმა მშრომელებმა იციან, თუ რას წარმოადგენს გერმანიის იმპერიალიზმი, რომელსაც ახლა ვაშინგტონი და ლონდონი აღადგენენ. ამიტომ ბულგარეთის მშრომელნი სულითა და გულით უჭერენ მხარს ბრძოლას სამარცხვინო „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, ერთიანი, დემოკრატიული გერმანიისათვის.

გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ სტატიაში სათაურით „გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის“ აცხადებს:

გერმანიის საკითხის გადაჭრისათვის ბრძოლა ცხადყოფს საერთაშორისო ურთიერთობის ორ პოლიტიკას — ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია გერმანული ფაშიზმის აღდგენისა და ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებისაკენ, და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია მთელი გერმანიის დემოკრატიზაცია, მისი მშვიდობიანი გაერთიანება და აღდგენა როგორც მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. გერმანიის მიმართ პოლიტიკაში ამ ორ ძირითად მიზანს მკაფიოდ გამოხატავს ორი უკანასკნელი ნოტა — ამერიკის შეერთებული შტატების 13 მაისის და საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტები გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ.

სავსებით დასტურდება საბჭოთა ნოტაში გამოყვანილი დასკვნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უარს ამბობს წინადადებაზე, რომ დიდმა სახელმწიფოებმა აღარ გაჯიანურონ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიის გაერთიანების საკითხის განხილვის დაწყება და რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კვლავ ყოველნაირად აჭიანურებს საქმეს, რათა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება და სრულიად გერმანიის შექმნა შორეული მომავლისათვის გადაიდოს.

გაზეთი ამთავრებს:

დიდი სტალინისადმი უსაზღვრო მადლობით ეგებება ახალ საბჭოთა ნოტას ბულგარელი ხალხი—სოციალიზმის მშენებელი ხალხი. ჩვენმა ხალხმა იცის, რომ გერმანიის დემოკრატიზაცია და გაერთიანება მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების, სოციალიზმისა და ახალი ბედნიერი ცხოვრების წარმატებით აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

რუმინეთი

ბუქარესტი, 27 მაისი. (საკდესი). სტატიაში სათაურით „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის!“ გაზეთი „სკინტეია“ წერს:

საბჭოთა მთავრობის ნოტა უდიდესი ძალით ამხილებს დანაშაულებრივ პოლიტიკას, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები გერმანიაში ახორციელებენ, პოლიტიკას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ დასავლეთი გერმანია სავსებით დაუქვემდებარონ ახალი მსოფლიო ომის მომზადებისა და გაჩაღების მიზნებს.

საბჭოთა ნოტა გვიჩვენებს ერთიან, დემოკრატიულ, მშვიდობისმოყვარე გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დაუყოვნებლივ დადების გზას და ამრიგად, განსაკუთრებული მნიშვნელობის წვლილია ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში.

ყველა პატიოსანმა ადამიანმა, განაგრძობს გაზეთი, კარგად იცის, თუ რა თანმიმდევრობითა და ენერგიით იბრძოდა საბჭოთა კავშირის მთავრობა ომისშემდგომი პირველი წლების მანძილზე გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ პოტსდამის შეთანხმების განხორციელებისათვის. საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთგულად იცავს მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების სტალინური პოლიტიკას, თანმიმდევრულად იბრძვის ერთიანი, დემოკრატიული, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის.

მთელი გერმანელი ხალხი, რომელსაც მხარს უჭერენ მსოფლიოს ხალხები, ვადაჭრით ილაშქრებს ბონის ხელშეკრულების — გერმანიის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტის წინააღმდეგ.

გაზეთი „რომინია ლიბერა“ აღნიშნავს: ხალხებმა იციან, რომ ევროპის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება გერმანიის საკითხი. აი ამიტომ საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი დიდად მოიწონეს მთელი მსოფლიოს დემოკრატიულმა ძალებმა.

რუმინელი ხალხი, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, აღნიშნავს გაზეთი, სავსებით იწონებს საბჭოთა წინადადებებს, რომლებიც მას მიაჩნია თავისი მხურვალე მისწრაფების გამოხატულებად — იხილოს გერმანია ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული.

გერმანია

ბერლინი, 28 მაისი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა მთავრობის ნოტის დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ. აღნიშნავს რა მშვიდობისა და გერმანიის აღდგენისათვის გერმანელი ხალხის მზარდ ბრძოლას, გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ დღეს მოწინავე სტატიაში წერს:

„საბჭოთა კავშირის 24 მაისის ნოტამ დასავლეთის სახელმწიფოებისადმი კვლავ დაამტკიცა, რომ ეს მზაადა მორეული მომავლის ოცნება კი არ არის, არამედ ფრიად რეალური, უახლოეს დროში სავსებით მისაღწევ მიზანს წარმადგენს. საკმარისია მხოლოდ შეეხედოთ, რა მხურვალედ იწონებს მილიონობით გერმანელი და ევროპის ყველა ხალხი საბჭოთა მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დასადებად; საკმარისია მხოლოდ წარმოვიდგინოთ, რომ ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, სუვერენული გერმანიის შექმნის მოთხოვნას იცავს მსოფლიოს უძლეველი სოციალისტური სახელმწიფო“.

გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო მეტი ადამიანი „ხვდება, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებანი, რომლებიც ცვლავ გამოხატულია სსრ კავშირის მთავრობის 24 მაისის ნოტაში, სავსებით უზრუნველყოფენ გერმანიის მომავალს თავისუფლების, დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და კეთილდღეობის პირობებში, მაშინ, როცა „საერთო ხელშეკრულება“ თვალისწინებს დასავლეთ გერმანიის შეყვანას დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკში და დასავლეთ გერმანიას განუსაზღვრელი დროით უსპობს დამოუკიდებლობას, საბჭოთა კავშირის მიერ შემოთავაზებული საზავო ხელშეკრულება მთელ გერმანიას აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ განეთავრდეს როგორც დამოუკიდებელი და თავისთავადი სახელმწიფო“.

გაზეთი „ნოიე ცაიტი“ (გერმანიის ქრისტიანდემოკრატთა კავშირის ორგანო) მოწინავე სტატიაში წერს: „საბჭოთა ნოტა კვლავ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა სასწრაფოდ გადაიჭრას გერმანიის საკითხი და რომ შესაძლებელია მიღწეულ იქნას სწრაფი ურთიერთგაგება დაუყოვნებლივი ერთობლივი მოლაპარაკების გზით“. ნოტამ, წერს გაზეთი, ფართო გამოხმაურება ჰპოვა და ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ადგას თავის გზას.

გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ორგანომ გაზეთმა „დერ მორგენმა“ დაბეჭდა დოქტორ კარლ ჰამანის სტატია. სტატიაში ნათქვამია: „ჩვენ მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირს ახალი ნოტისათვის. მისი ნათელი და ლოგიკური წინადადებანი ეხმარებიან მთელ გერმანელ ხალხს ამ მომენტში, როცა გერმანიის ერთი ნაწილის წინააღმდეგ (ე. ი. დასავლეთ გერმანიის წინააღმდეგ.—რედ.). მიმართულია დასავლეთის იმპერიალისტთა საბედისწერო ლაბარი“.

დასავლეთ გერმანიის პრესა ავრეთვე დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

გაზეთმა „ვესტდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგმა“ დაბეჭდა ცნობა დასავლეთის სახელმწიფოებისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ სათაურით „მოსკოვი მხარს უჭერს სსრ კონფერენციას. საბჭოთა კავშირი ნოტების შემდგომი გაცვლის წინააღმდეგია“. გაზეთი „დიუსელდორფერ ნახრიხტენი“ სათაურში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირი კვლავ მოითხოვს ოთხმხრივი კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევას“.

საბჭოთა მთავრობის იმ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ რაც შეიძლება მალე გადაიჭრას გერმანიის პრობლემა, და ადენაუერის გამთიშველ საზხედრო პოლიტიკასთან დაკავშირებით გაზეთი „ბადიშე ალგემაინე ცაიტუნგი“ დაასკვნის, რომ საჭიროა აიძულონ ბონის მთავრობა გადადგეს. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადენაუერის მთავრობამ „დიდი ხანია დაკარგა გერმანელი ხალხის ნდობა“.

ბერლინი, 28 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის დპა-ს საგენტომ გადასცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის განცხადება. ამ განცხადებაში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობა საგანგებო ხდის საბჭოთა მთავრობის ნოტის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დებულებებს და ამავე დროს საბჭოთა წინადადებას ოთხი სახელმწიფოს დაუყოვნებლივი მოლაპარაკების შესახებ ახასიათებს როგორც დადებითს. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აზრით, ასეთი მოლაპარაკება საჭიროა არა მარტო გერმანიისათვის, არამედ იმისათვისაც, რომ შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა მთელ მსოფლიოში. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობა ეთანხმება იმას, რომ „ნოტების პოლემიკური გაცვლით“ გერმანიის პრობლემა ვერ მიუახლოვდება გადაწყვეტას. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „გერმანიის რომელიმე ნაწილის არც ერთ მთავრობას არ შეუძლია წარმოადგინოს გერმანია და იკისროს ვალდებულებანი“.

ბერლინი, 28 მაისი. (საკდესი). „შავი დღე გერმანიისათვის“ — ასე უწოდებენ დასავლეთ გერმანიის მთელი რიგი ბურჟუაზიული გაზეთები იმ დღეს, როცა რეკანშესტმა ადენაუერმა ხელი მოაწერა დასავლეთის სახელმწიფოებთან სეპარატულ სამხედრო ხელშეკრულებას.

ადენაუერის ამ გამცემლურ ნაბიჯს დასავლეთ გერმანიის პრესა უპირისპირებს საბჭოთა მთავრობის ახალ ნოტას, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება ერთიან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

„დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა საზავო ხელშეკრულებას მოელის მშვიდობიანი გაერთიანების მიზნით“, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ეესიშე ნახრიხტენი“.

„შტუტგარტერ ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ დასავლეთ გერმანიასთან დასავლეთის სახელმწიფოების სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერის მიუხედავად, გერმანელი ხალხის უმეტესობას სწამს, რომ შესაძლებელია გერმანიის გაერთიანება. „საბჭოთა წინადადება, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს ოთხმხრივი მოლაპარაკება გერმანიის შესახებ, — განაგრძობს გაზეთი,—გადაჭრით უწყობს ხელს ამ რწმენის განმტკიცებას და ეს რწმენა შემდეგში კიდევ უფრო განმტკიცდება“.

დიუსელდორფერ ნახრიხტენი“ — „[illegible] წერს: „რატომ არ უნდა დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას ოთხმხრივი კონფერენციის შესახებ? გერმანიის გაერთიანების საკითხი ჩვენთვის ხომ ძირითადი საკითხია“.

ეხება რა კაბალური სეპარატული ხელშეკრულების არსს, გაზეთი „ნოიე რურცაიტუნგი“ აშკარად აცხადებს: „ნუ მივიცემთ ნურავითარ ილუზიას: სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის დაპირებებიდან არაფერი არ რჩება“.

ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ორგანო „რაინიშე პოსტიც“ კი იძულებულია აღიაროს, რომ „საერთო ხელშეკრულების აზრია შემდეგი: მოკავშირეებს ესაჭიროებათ გერმანელი კარიესკაცები“.

დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული პრესის ამ მოსაზრებათა განხილვა უშუალოდ უნდა დაუკავშიროთ იმას, რომ ყოველდღე იზრდება გერმანელი ხალხის მასობრივი მოძრაობა დასავლეთ გერმანიასთან დასავლეთის სახელმწიფოების სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, ერთიან გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის. ამ მოძრაობის შესახებ გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ დ

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 28 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ წინანდელ ზღუდეებზე და დიდ ზარალს აყენებენ მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო არტილერიამ და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ამერიკელი მილიგარისტები მხეცურად უსნორდებიან სამხედრო ტყვეებს კორეაში

სინხუას საagენტოს ცნობა

პეკინი, 27 მაისი. (საკდესი). სინხუას საagენტოს სპეციალური კორესპონდენტის მიერ კესონიდან 26 მაისს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია:

აპრილი დაზავების შესახებ მოლაპარაკების ისტორიაში შევა, როგორც გადამწყვეტი თვე, როცა ამერიკის წარმომადგენლებმა ჩაშალეს შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ. ამ თვეში შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო ცეცხლის შეწყვეტა, რიჯუეისა და ვან ფლიტს ხიშტების მუქარით რომ სხვა ადგილებში არ გადაეყვანათ ათეულ ათასობით სამხედრო ტყვე; რათა ჩაეფინათ საზარელი მოტყუება, რომელიც მდგომარეობს იმის მტკიცებაში, თითქოს „სამხედრო ტყვეებს არა სურთ სამშობლოში დაბრუნება“. 10 აპრილს კიდევ 60 სამხედრო. ტყვის მოკვლისა და დაჭრის შემძრწუნებელი მხილება გახდა ახალი მნიშვნელოვანი საბუთი იმ საბუთებს შორის, რომლებიც დამარწმუნებლად მოწმობენ, რომ სამხედრო ტყვეებს მხეცურად უსწორდებოდნენ, რომ შეეთითხნათ „გადარჩევის შედეგები“, რათა ამერიკელ დელეგატებს შეძლებოდათ მოლაპარაკების ჩაშლა. ეს „შედეგები“ ის იყო, რომ კუნძულ კოჯედოდან ტანტენენტზე სიკვდილის საიდუმლო ბანაკებში იძულებით გადაიყვანეს სამხედრო ტყვეები.

ჯერ კიდევ ამა წლის თებერვალში ამერიკელები აშინებდნენ სამხედრო ტყვეებს, ხოცავდნენ და ჭრილობებს აყენებდნენ მათ, რათა განეხორციელებინათ სამხედრო ტყვეების გათიშვის თავიანთი გეგმა და ეს წარმოედგინათ როგორც „მომხდარი ფაქტი“, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა კორეაში დაზავებაზე უარის საბუთად. ეს მოქმედება გრძელდებოდა მარტში და დამთავრდა აპრილში, როცა ორივე მხარის შტაბის ოფიცრები ერთმანეთს შეხვდნენ დახურულ სხდომებზე, რათა შეემოწმებინათ სამხედრო ტყვეების სიები, რომელთა განთავისუფლება და რეპატრიაცია უნდა მომხდარიყო.

აპრილში, როცა ამერიკის ჯარები სამხედრო ტყვეთა ბანაკის უფროსის დოდის სარდლობით ცდილობდნენ იარაღით აეძულებინათ სამხედრო ტყვეები სხვა ბანაკებში გადასულიყვნენ, სრულიად აკრძალეს კუნძულ კოჯედოდან ცნობების გადაცემა. 10 აპრილს მოკლული და დაჭრილი 60 სამხედრო ტყვე იყო იმ სამხედრო ტყვეთა შორის, რომლებიც იმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, რომ ისინი კუნძულიდან გადაეყვანათ. ხოცვა-ჟლეტის შესახებ ცნობების გამოქვეყნების ნებას არ იძლეოდნენ 44 დღის განმავლობაში, იმიტომ რომ ამის შეეძლო ერთბაშად გამოეშალავნებინა „გადარჩევის შედეგები“ როგორც პირწმინდა სიყალბე.

რათა დრო მოეგოთ ათასობით სამხედრო ტყვის კონტინენტზე ძალად გადმოყვანისათვის, ამერიკელმა პოლკოვნიკმა ჰიკმენმა 6 დღით გაახანგრძლივა დახურული სხდომების მუშაობის შეწყვეტის ვადა მას შემდეგ, რაც პოლკოვნიკმა �ჩენ-ვენმა აცნობა, მზადა ვარ სხდომების განსაახლებლადო. 19 აპრილს ჰიკმენმა განაცხადა, რომ „მომზადების სირთულის“ გამო საჭიროა კიდევ ორი-სამი კვირა სამხედრო ტყვეების სიების მოსამზადებლადო. როგორც 10 აპრილს სამხედრო ტყვეთა ხოცვა-ჟლეტამ ცხადყო, „სირთულე“ იმაში მდგომარეობდა, რომ სამხედრო ტყვეები მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ ადგილგადანაცვლებას, რომლის მიზანი ტყვეების დამონებაა.

ამჟამად ცხადია, რომ ტრუმენის მთავრობა ახორციელებს ორ ღონისძიებას, რათა მიჩქმალოს თავისი უმაგალითო სიცრუე სამხედრო ტყვეთა შესახებ, სახელდობრ: ცნობების გადაცემის სრული აკრძალვა და პროპაგანდის გებელსისებური პრინციპი — „იმეორე მტკიცედ და ავტორიტეტიანად, და ამას დაიჯერებენ“.

აპრილში ათასობით უმწეო კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვე იარაღის მუქარით გარეკილ იქნა მონობაში. მაგრამ ათასობით სამხედრო ტყვემ, რომლებიც წარმატებით უწევდნენ წინააღმდეგობას ადგილგადანაცვლებას, დაავადა, ხოლო შემდეგ გაათავისუფლა დოდი, რათა ეს ამბები მთელ მსოფლიოს შეეტყო.

დოდმა და კოლსონმა, რომლებიც ძალით, შაშხანებისა და ხიშტების მუქარით ახორციელებდნენ სამხედრო ტყვეთა გადაყვანას, აღიარეს, რომ იყო „ძალად შერჩევა“ და „სისხლისღვრის შემთხვევები, როცა ბევრი სამხედრო ტყვე მოკლეს და დაჭრეს გაერთიანებული ერების ჯარებმა“. კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მოთხოვნები, რომლებიც ცნობილი გახდა, ამქლევნებენ იმ საშინელ სურათს, რომ ათეულ ათასობით სამხედრო ტყვის ადგილგადანაცვლებასთან დაკავშირებით სამხედრო ტყვეებს აწამებდნენ, იძულებულს ხდიდნენ სისხლით მოწერილთ ხელი პეტიციებზე, მასობრივად ხოცავდნენ და ხვრეტდნენ მათ.

შანხაის განთავისუფლების სამი წლისთავი

შანხაი, 28 მაისი. (საკდესი). დღეს შანხაის გაზეთები ფართოდ აღნიშნავენ შანხაის განთავისუფლების სამი წლისთავს.

გაზეთი „ძიფანკიბაო“ წერს, რომ განთავისუფლების შემდეგ განვლილი სამი წლის მანძილზე შანხაიში ძირეული ცვლილებანი მოხდა. შანხაი, რომელიც წინათ ჩინეთში უცხოეთის იმპერიალიზმის შემოწყევის ცენტრი იყო, ახლა სახალხო ქალაქი, ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო და კულტურული ცენტრი გახდა. შანხაის სახალხო ხელისუფლებმა, რომლებიც განუხრელად ახორციელებენ მშრომელთა საკეთილოს დაკმაყოფილების პოლიტიკას, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქალაქის მეურნეობის გაუმჯობესებაში. სამი წლის მანძილზე შეკეთდა 2.650.000 კვადრატული მეტრი ქვაფენილი და ტროტუარი, დაიწყო ფართო საბინაო მშენებლობა, გაიხსნა ახალი საავტობუსო და სატროლეიბუსო ხაზები. განთავისუფლების შემდეგ ქალაქის ტრანსპორტის ხაზების სიგრძე 57 კილომეტრით გადიდდა.

ქალაქის ელექტროსადგურებმა 30 პროცენტით გაადიდეს ელექტროენერგიის წარმოება. ქალაქის ხელისუფლებმა შეაკეთეს 11 ათასამდე ძველი სახლი და ახალ სახლებს აშენებენ მუშებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

ბერლინი, 27 მაისი. (საკდესი). ადნ-ის საagენტო გადმოგვცემს: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება, რომ 1952 წლის 1 ივნისიდან გერმანელ მოქალაქეთა მიმოსვლა და ყოფნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნებადართულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ მოქალაქეებს ექნებათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთა მიერ გაცემული პირადობის მოწმობები.

ვისაც ასეთი მოწმობა არ ექნება, განსაკუთრებული დოკუმენტი <ონდ> ჰქონდეს. ამ განსაკუთრებული დოკუმენტის გაცემის წესი დამატებით გამოცხადდება.

„წაეთრიოს რიჯუეი საფრანგეთიდან!“

დემონსტრაცია პარიზში

პარიზი, 28 მაისი. (საკდესი). დღეს დემოკრატიული ორგანიზაციების მოწოდებით პარიზის მშრომელები ქუჩაში გამოვიდნენ, რათა პროტესტი გამოაცხადონ კორეელი ხალხის ჯალათის — ამერიკელი გენერლის რიჯუეის საფრანგეთში ჩამოსვლის წინააღმდეგ.

დღეს, საღამოს ხანს, ქალაქის მთავარ ქუჩებში და მოედნებზე გამოყვანილ იქნენ პოლიციელთა და ეგრეთწოდებულ „რესპუბლიკის უშიშროების რაზმთა“ გაძლიერებული პატრულები. პოლიციის მთავარ ძალებს თავი მოუყარეს რესპუბლიკის სახელობის მოედნის რაიონში, სადაც 18 საათსა და 30 წუთზე დანიშნული იყო დემონსტრაციის მონაწილეთა შეკრება. პოლიციის შავი მანქანებითა და შეიარაღებულ ჟანდარმთა რაზმებით აივსო ამ მოედნის მომიჯნავე ტამპლის, ვოლტერისა და სენ-მარტენის ბულვარები, რესპუბლიკის, ფობურ-დიუ-ტამპლის და სხვა ქუჩები. საღამოს 6 საათზე ამ რაიონში დახურულ იქნა მეტროდან გამოსასვლელები. მაგრამ მშრომელები, მიუხედავად პოლიციის ღონისძიებებისა, შეიკრიბნენ ქალაქის სხვადასხვა პუნქტებში, დაეწყვნენ კოლონებად და გამოვიდნენ პარიზის მთავარ ქუჩებში და მოედნებზე.

დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები და პლაკატები, რომლებიც მოითხოვდნენ ამერიკელთა მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შეწყვეტას და საფრანგეთიდან ამერიკელთა ჯარების გაყვანას. ქალაქის ყველა კუთხეში ათასობით ადამიანი გაიძახოდა ლოზუნგებს: „ვებრძოლთ მშვიდობის, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!“, „რიჯუეი, წაეთრიე აქედან!“, „ამერიკელებო, წაეთრიეთ ამერიკაში!“, „ფაშაზმი ვერ გაიმარჯვებს!“, „გაათავისუფლეთ ანდრე სტილი!“ და სხვ.

დემონსტრანტების პირველი შეტაკებები პოლიციასთან მოხდა ლათინური უბნის, ეროპის მოედნის, სტალინგრადის მოედნის, ჩრდილოეთისა და სენ-ლაზარის ვაგზლების რაიონში, დ'ანტენის ქუჩაში, ფობურ-დიუტამპლის ქუჩაში და სხვ. ფობურ-მონმარტრის ქუჩაში პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტთა კოლონას, მაგრამ წაწყდა მათს მტკიცე წინააღმდეგობას. დემონსტრანტებმა გადაბრუნეს პოლიციის ავტომანქანა და მინები ჩაუმტვრიეს პოლიციის სხვა მანქანებს.

პოლიციის ცდა — გაეფანტა დემონსტრანტთა კოლონები სენ-ჟერმენის ბულვარზე — იმით დამთავრდა, რომ პოლიცია იძულებული გახდა თვითონ გაქცეულიყო, პოლიცია უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა პროვანსის ქუჩაში „რენოს“ ავტოქარხნის მუშათა კოლონები. კოლონამ წინ წაიწია სენ-ლაზარის ვაგზლისაკენ.

ცნობილი გახდა, რომ დემონსტრანტებმა იძულებული გახადეს პოლიციელები და „რესპუბლიკის უშიშროების რაზმთა“ ავტრულები, დაეტოვებინათ ჩრდილოეთის ვაგზალი, მშრომელთა პირველმა კოლონამ გაარღვია პოლიციელთა ძლიერი ზღუდეები და გადკრა რესპუბლიკის სახელობის მოედნისაკენ. პოლიციამ აქ 80 კაცი დაჰპატიმრა. დღეს მშრომელთა სისხლი დაღვრა პარიზის მოედანზე, რომელსაც სტალინგრადის საპატიო სახელი ეწოდება. პოლიციამ აქ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს, რის შედეგადაც მოკლულია 1 და მძიმედ დაჭრილია 1 კაცი.

მიუხედავად მასობრივი დაპატიმრებისა და ცრემლსადენი გაზების გამოყენებისა, მშრომელთა დემონსტრაციები გრძელდება როგორც თვით პარიზში, ისე მის მუშურ გარეუბნებში.



თბილისი. ფუნიკულორის მთავარ შენობასთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საბავშვო სანატორიუმებში

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სანატორიუმის შენობათა სარემონტო სამუშაოები რესპუბლიკის ყველა კურორტზე. უკვე მთავრდება საბავშვო სანატორიუმების რემონტი ქობულეთში, ბაკურიანში, სურამში, მანგლისში, წაღვერში, კოჯორში, წყნეთში, კიკეთში და მთელ რიგ სხვა კურორტებზე.

1 ივნისიდან საბავშვო სანატორიუმები გახსნილ იქნება დამსვენებელ ბავშვთა პირველი ნაკადის მისაღებად.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოში მიღებული ცნობებით წელს საბავშვო სანატორიუმებში გგზავნილ იქნება სკოლამდელი ასაკის 1.500-ზე მეტი ბავშვი, უმთავრესად ის ბავშვები, რომლებსაც მშობლები არა ჰყავთ. ჩვენ ბავშვთა სახლებიდან კურორტებზე გაიგზავნება 570-ზე მეტი ბავშვი.

ამასთან სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს იმ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, რომელთა გაყვანა კურორტებზე ამა თუ იმ მიზეზის გამო მიზანშეუწონელი იქნება, მოაწყოს გამოჯანსაღებელი მოედნები და განსაკუთრებული კვება.

განახლდა საავტომობილო მიმოსვლა თბილისი-ძაუჯიყაუ

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ 25 მაისიდან განახლა რეგულარული საავტომობილო მიმოსვლა საქართველოს სამხედრო გზატკეცილით თბილისიდან ძაუ-ჯიყაუმდე (ყოფ. კაკაჯი).

თბილისი-ძაუჯიყაუს შუა რეგულარული მიმოსვლისათვის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გამოჰყო მრავალადგილიანი ავტობუსები. ორი ასეთი ავტობუსი ყოველდღე გავა თბილისიდან და ორი გამოვა ძაუ-ჯიყაუდან. თუ მგზავრთა რაოდენობა ან ერთი, ან მეორე მიმართულებით მეტი აღმოჩნდა, დამატებით გამოიყოფა სხვა ავტობუსები.

პრემიერა გორის თეატრში

გორი. (საკ. კორ.). გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ჰოვარდ ფასტის პიესა „ოცდაათი ვერცხლი“.

პიესის დადგმა განახორციელა თ. კანდინაშვილმა, მხატვრულად გაფორმა კ. კვალიაშვილმა. მთავარ როლებს ასრულებენ ნუნუ მაჭავარიანი, ნინო ბერიოზაშვილი, ქეთევან ბოჭორიშვილი, გიორგი ციცქიშვილი, შ. ხერხეულიძე, ვ. მაზმიშვილი და სხვები.

ბურისფული ლაშქრობა ჯავა-ნონა-საჩხერე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის [illegible] სექციის [illegible] ლაშქრობა ჯავა-ნონა-საჩხერეს მარშრუტით. მასში მონაწილეობდა უნივერსიტეტის 45 სტუდენტი და მასწავლებელი (ხელმძღვანელი ლექტორი ო. გიგინეიშვილი).

ლაშქრობის მონაწილეები 18 მაისს ჩავიდნენ ჯავაში, აქედან გაიარეს სოფელი ხეაწი, გადალახეს რაოს ქედი, ჩავიდნენ ქმაწვილთის ხეობაში და აქედან სოფელ წონაში. აქ მათ დაათვალიერეს წონას მაღალმთიან რაიონში მდებარეობა. მეორე დღეს ლაშქრობის მონაწილეებმა გადალახეს ეშტერწუფის მთა და მდინარე ყვირილას ხეობით გადავიდნენ დასავლეთ საქართველოში. აქ ლაშქრობის მონაწილეებმა დაათვალიერეს სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილები და ისტორიული ძეგლები, მათ შორის აყალიწერეთლის სახლი-მუზეუმი სხვიტორში.

ამ ლაშქრობით მომზადებული იქნა ალპინიზმის პირველი საფეხურის 45 ნიშნოსანი.

დამთავრდა თბილისის თასის გათამაშება ფრენბურთში

დამთავრდა თბილისის 1952 წლის თასის გათამაშება ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის რაიონების პირველობათვის გამართულ შეჯიბრებებში გამარჯვებული ქალთა და ვაჟთა გუნდები.

ქალთა გუნდებიდან ფინალში გავიდნენ სასპორტო საზოგადოება „მეცნიერებისა“ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდები. მათ შეხვედრაში გამარჯვება მოიპოვა „მეცნიერების“ გუნდმა. ვაჟთა გუნდებს შორის გამარჯვება ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც საფინალო შეხვედრაში დაამარცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი.

ამრიგად, თბილისის 1952 წლის თასი ფრენბურთში მოიპოვეს ქალთა გუნდებიდან სასპორტო საზოგადოება „მეცნიერების“ კოლექტივმა, ხოლო ვაჟთა გუნდებიდან ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდმა.

სამეცნიერო სესია

30 მაისიდან 2 ივნისამდე საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოეწყობა მოძმე რესპუბლიკების—საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების პროფესორებისა და პედაგოგების სამეცნიერო სესია.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — სასოფლო პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა. დღეს ვოლგა-დონზე.

სასანლო დემოკრატიის ქვეყნებში.

„პრავდის“ 29-V მიწერილი — ევროპის მშვიდობისათვის, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისათვის.

მეორე გვერდი — საერთო სათაურით „საქართველოს დედაქალაქის არქიტექტურული სახე“ წერილები: ბ. ლორთქიფანიძე — გადავწყვიტოთ ქალაქის ცენტრის პრობლემა. მ. შავიშვილი — ვაშენოთ გეგმის მიხედვით. ლ. სამბაძე — ფართოდ განვიხილოთ საქალაქო მშენებლობის საკითხები. ა. მიმინოშვილი — სანიმუშო ქალაქისათვის. გ. ლეჟავა — არქიტექტორის ვალი. ხვალინდელი თბილისი.

მესამე გვერდი — უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის ნოტაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

31 მაისს

06.25 — რახმანინოვის საფორტეპიანო ნაწარმოებები; 07.40 — პიონერთა დაფონი; 09.20 — კონცერტი სმეტანას ნაწარმოებებიდან; 11.10 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.15 — საოპერო მუსიკის კონცერტი; 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის: „ჩვენს დიდ სამშობლოში“; 18.15 — კონცერტი; 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი.

რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით

20.30 — ქალაქის ქსელით — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები; რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 20.45 — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მერი ნაკაშიძის კონცერტი; 21.10 — ლიტერატურული გადაცემა; 21.30 — საუბარი — პოლიტსკოლების მსმენელთა დასახმარებლად: „საბჭოთა კავშირის ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ომისშემდგომ პერიოდში“; 22.00 — ოპერა „ისაკ-კულის ნიპრების“ მონტაჟი; 00.05 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა (ი. ვუტირასის მონაწილეობით, დასაწყისი საღ. 8½ ს.); **რუსთაველის სახელობის** — ყაჩაღები; **მარჯანიშვილის სახელობის** — მარინე; **გრიბოედოვის სახელობის**—ძია ვანო (26-27-ე აბ.); **ხომხური დრამის** — ხათაბალა (გ. ჯანიბეკიანის მონაწილეობით); **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კიკვიძე (25-ე აბ. 5 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ყაჩაღები (11½ ს.), ბებია დარეჯანის ზღაპრები (1 ს.); **ხანკულტურის** — სიკეთის ძალა; **ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** — სიღარიბე არაა დასაძრახისი (მოსკოვის კინომსახიობთა თეატრი, საღ. 9 ს.).

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმი აცხადებს მოწაფეთა მიღებას 1952-1953 სასწავლო წლისათვის. ტექნიკუმს აქვს სამი განყოფილება: ა) **საფინანსო**—ამზადებს ბიუჯეტის, გადასახადების, სახშემოსავლის, სახდაზღვევის და შემსალაროების ფინანსისტებს და ბუხჰალტრებს, ბ) **საკრედიტო** — ამზადებს სსრ კავშირის ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ფინანსისტებს და ბუხჰალტრებს სახელმწიფო ბანკისათვის, გ) **სტატისტიკური** — ამზადებს სტატისტიკოსებს.

ტექნიკუმში სწავლის ვადა სამი წელია. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 14-და 30 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლის კურსი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 15 აგვისტომდე: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი). განცხადებები მიიღება 1 ივნისიდან 31 ივლისამდე. განცხადებას თან უნდა დაერთოს: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, სამი ცალი შემოწმებული ფოტოსურათი (ზომით 3×4), ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამკურნალო დაწესებულებიდან, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის), მომართვა საფინანსო და საბანკო ორგანოებისაგან.

მოსწავლეთა ჩარიცხვა იწარმოებს 16-დან 20 აგვისტომდე. 1950 და 1951 წლებში 8-წლიანი სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები ჩარიცხებიან უგამოცდოდ 1 ივნისიდან 31 ივლისამდე განცხადების შესვლის მიხედვით. ტექნიკუმში ჩარიცხული პირები მიიღებენ სტიპენდიას საერთო წესით და საჭირო შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

მიმდინარე წელს სწავლების შემოკლებული (ერთნახევარი წლის) ვადით სპეციალურ ჯგუფში მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, მათგან 1951 და 1952 წლებში კურსდამთავრებულები უგამოცდოდ, ხოლო დანარჩენები აბარებენ გამოცდებს ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის ისტორიაში. ტექნიკუმში მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. ტექნიკუმის კანცელარია მუშაობს დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე, მისამართი: ქ. თბილისი. უნივერსიტეტის ქ. № 42, ტელეფონი № 3-71-08.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — პრეკეალსკი; **„ოქტომბერი“** — ზოგჯერ ბრძენიც შეცდება (I და II სერია); **„ხპარტაკი“, კიროვის პარკი, „ამირანი“** (საზამთრო) — დაუვიწყარი 1919 წელი; **„თბილისი“** — რემბრანდტის ცხოვრება; **„დიდუბე“** — არწივის დაღუპვა (საზამთრო), მუსიკალური ისტორია (საზაფხულო); **„კომკავშირელი“** — ახალგაზრდების სპორტული დღესასწაული; **26 კომისრის სახელობის** — ეს იყო დონბასში (საზამთრო), ტყუპები (საზაფხულო); **„კოლხიდა“** — ივნისის ღამეები (საზაფხულო), ქალბატონი ბოვარი (საზამთრო); **„იბანი“**—ჯალარა ქალიშვილი (საზაფხულო), ზოგჯერ ბრძენიც შეცდება (საზამთრო).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წლის 11 ივნისს, დღის 1 საათზე, № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **დავით იოსების-ძე ჩხიკვიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მარქსიზმ-ლენინიზმი კულტურის ეროვნული ფორმის შესახებ“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი, დოქტორი **გ. ხაჭაპურიძე,** პროფესორი, დოქტორი **შ. რადიანი,** ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **მ. გაფრინდაშვილი.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წ. 11 ივნისს, დღის 3 საათზე (№ 25 აუდიტორიაში, მესამე კორპუსი, უნივერსიტეტის ქ. № 11) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **თამარ ტრიფონის ასული გაჩეჩილაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ციტრუსოვანი ნაყოფის გაზოვანი რეჟიმი მისი შენახვის პროცესში“.**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი, დოქტორი **პ. ქომეთიანი,** მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **ქ. ცხაკაია.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სამხატვრო აკადემია აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1952-1953 სასწავლო წლისათვის ფერწერისა და ქანდაკების ფაკულტეტის: **ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და მხატვრული კერამიკის განყოფილებებზე.**

აკადემიაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: ავტობიოგრაფია, საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), სამი ფოტოსურათი (უკუდოდ ზომით 3×4 სანტიმ.) და ნამუშევრები სპეციალურ საგანში. შემომსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს აგრეთვე პასპორტი და სამხედრო ბილეთი (თუ თადარიგის სამხედროვალდებულია) ან მიწერის ცნობა (თუ გასაწვევი ასაკისაა).

მისაღები გამოცდები იწარმოებს: სპეციალურ საგნებში, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში და რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

საერთო განათლების დისციპლინებში უგამოცდოდ მიიღებიან: ა) ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით ან საშუალო სამხატვრო სასწავლებელი ფრიადოსნის ატესტატით და ჩარიცხული არიან სასწავლებლის მიერ გამოშვების 5%-ში, ბ) საპატიო ომის მონაწილენი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ფრიადოსნის ატესტატით. სპეციალურ დისციპლინებში მისაღები გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა ყველასათვის.

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, 9-დან 17 საათამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. აკადემიის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 22.

მოქალაქე **პაპაი იუნოსის-ძე ნაფტალევმა,** მცხოვრებმა ჯავარედინის ქ. № 6, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ზინაიდა რაბაის ასულ ნაფტალევასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ეთერ გიორგის ასულმა გიორგიძემ,** მცხოვრებმა მარტის ქ. № 4, აღძრა საქმე ფოთის ქ. № 38 მცხოვრებ მოქალაქე **ლევან ვალერიანის-ძე კობახიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ქიფო, შვილი ოთარ, ძმა მოსე, ძმისწული გიგოლა, რძალი ვალენტინა, ცოლისძმები ივანე, შალვა, ცოლისდა ლოლა ორაგველიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ 1-VI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **დომენტი ზაალის-ძე თალაკვაძის** პანაშვიდი.

დედა ლიზა, მეუღლე ვალენტინა, შვილები იოანმზე, ანდრო, ძმა გიგოლა ოჯახით იუწყებიან, რომ 1-VI, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ზაალ ანდრიას-ძე თალაკვაძის** პანაშვიდი.

შვილები პელაგია, ვლადიმერ, რძლები ვარა, თამარ, სიძეები არჩილ აბრამიშვილი, თარიანან ნიკოლოზაშვილი და **შვილიშვილები** იუწყებიან **ეკატერინე ზაქარიას ასულ გერმანიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30-V, 8 ს. გამოსვენება 31-V, 6 ს. გურამიშვილის, 20.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის თანამშრომლები იუწყებიან **სამსონ ოტიას-ძე შენგელიას** გარდაცვალებას.

შვილი ნინო, შვილიშვილები სონია, მაყვალა გარაყანიძეები, სიძე ავალიანი, რძალი ეკატერინე ნაცვლიშვილი, ძმისწული ნინო ნინოშვილი **შვილებით** იუწყებიან **ელისაბედ ზაალის ასულ ნაცვლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31-V, 8 ს. გამოსვენება 1-VI, 3 ს. შრომის, 18 (ვაკე).

ქალაქის ფსიქო-ნევროლოგიური დისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან **თათეოს პეტრეს-ძე სვანის** გარდაცვალებას.

მეუღლე გრიშა, შვილები ნაზიკო, შამშე და ია, მაზლები სანდრო, იერემია ოჯახებით იუწყებიან **ლიუცია თეოფილეს ასულ ჩლაიძე-ნეფარიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31-V, 8 ს. გამოსვენება 1-VI, 5 ს. წითელი ქ. № 4 (ლენინის რაიონი).

მეუღლე მატრონა, შვილები საშურა, ლამარა, ნათელა, სიძეები შ. ერისთავი, მ. მურღულია, **